წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრკ ც. კ. (ბ) სწინწ. და თბ. კომიტეტების და სსრ. სახის ოკრების ორგანო

ბეჭდვითი ნიშნები: რედაქტორის—16—76, რედ. მოადგილის—86—27, განყოფილებისა 10—58, მთ. კონტორის—9—81.

შაბათი
26
აგვისტო
1933 წ.
№ 196 (3752)

ლენინურ კომკავშირს ბოლშევიკური ხელმძღვანელობა

საქართველოს კომკავშირის ორგანიზაცია, რომელიც საკავშირო მრავალმილიონიანი ლენინური კომკავშირის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენს, სოციალისტური მშენებლობის წარმატებებთან ერთად იზრდება პოლიტიკურად და ორგანიზაციულადაც; რაც დრო გადის, ის უფრო მეტად ანვითარებს და აფართოებს თავის პოლიტიკურ გავლენას მუშების და კოლმეურნე ახალგაზრდობის ფართო მასებზე.

სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი, ახალ ამოცანებს აყენებს პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციების წინაშე.

ეს ამოცანები გამომდინარეობენ ამჟ. სტალინის სიტყვიდან სოფლად მუშაობის შესახებ და ს.კ.პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის მიერ მიღებული ბოლშევიკური გადაწყვეტილებიდან „გადასვლა კოლექტიურ მეურნეობაზე — ამბობდა ამხ. სტალინი ც. კ-ის იანვრის პლენუმზე —კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს ჩვენს ზრუნვას სოფლის მეურნეობის მიმართ, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს კომუნისტების ხელმძღვანელ როლს სოფლის მეურნეობის ამაღლების საქმეში. თვითდინება ახლა უფრო საშიშია, ვიდრე ოდესმე, თვითდინებას ახლა შეუძლია მთელი საქმე დაღუპოს.

ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა პარტიული ორგანიზაციების კლასობრივი სიფხიზლის გამახვილება, მუშაობის ისეთი ორგანიზაცია, რომ ჩაწვდეს საკოლმეურნეო ცხოვრების და ხელმძღვანელობის ყველა დეტალებს, ჩამოგლეჯოს ნიღაბი კლასობრივ მტერს, რომელიც შესცვალა ბრძოლის ტაქტიკა ახალ პირობებთან შეფარდებით, გადავიდა მავნებლურ მუშაობის ახალ მეთოდებზე საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში.

პარტიის მიერ წარმოებულ ბრძოლაში სამ. სატ. სადგურების სოფლად პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ცენტრებად გადაქცევისათვის, თვითეული კოლმეურნეობის ბოლშევიკურად და თვითეული კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევისათვის — უდიდეს როლს ასრულებს ლენინური კომკავშირი. შემთხვევითი რიგია, რომ სკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი თავიანთ გადაწყვეტილებებში **პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას ამახვილებენ ლენინური კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნაზე.** მთელი რიგი პარტორგანიზაციები, არ აფასებენ **კომკავშირის მუშაობის გარდაქმნას, არ აფასებენ კომკავშირის როლს საკოლმეურნეო მშენებლობაში. არა აქვთ შეგნებული, რომ კომკავშირი წარმოადგენს პარტიის ერთგულ თანაშემწეს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.**

ამით უნდა აიხსნას კომკავშირის მუშაობის ჩამორჩენა მთელ რიგ რაიონებში და მისი ცალკე რგოლების დანაგვიანება კლასობრივად უცხო ელემენტებით; ზოგან პარტიულმა ორგანიზაციამ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა გაიგო, როგორც უჯრედზე მიმაგრებულთა ფორმალურად გამოყოფა, დრო-გამოშვებით უჯრედის კრებებზე მოხსენების გაზხილება კომკავშირის მუშაობაზე. განა აშკარა არ არის, რომ ასეთ ბიუროკრატიულ-კანცელარულ ხელმძღვანელობას საერთო არაფერი აქვს კომკავშირის მიმართ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ტრადიციებთან.

მხოლოდ მაშინ, როცა კომკავშირის ამა თუ იმ უჯრედში კარგად არის დაყენებული მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმე, როცა თვითეული კომკავშრელი ნამდვილად ასრულებს ავანგარდულ როლს წარმოებაში, რაზმავს მუშურ და კოლმეურნე ახალგაზრდობის მასებს პარტიის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანების გარშემო—პარტიული ორგანიზაცია წარმატებით განახორციელებს ხელმძღვანელობას კომკავშირზე.

„არ უნდა იყოს არც ერთი ცუდათ მომუშავე, პარტხელმძღვანელობას მოწყვეტილი, საკუთარი თავის ამარა მიტოვებული კომკავშირული უჯრედი. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ თვითეული კომკავშირული უჯრედი გადავაქციოთ სანიმუშოდ მომუშავე, ინიციატივის მქონე, თვითმოქმედ მოძრავ კოლექტივად, რომელსაც ექნება უნარი დარაზმოს, აღაფრთოვანოს მასები შემდგომი ბრძოლებისათვის სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე“ (ბერია). რა არის საჭირო იმისათვის, რომ თვითეული კომკავშირული უჯრედი გადაეაქციოთ სანიმუშოდ? ამისათვის საჭიროა — **თვითეულმა პარტიულმა უჯრედმა კონკრეტულად უხელმძღვანელოს კომკავშირს, ჩაწვდეს, მისი მუშაობის ყველა დეტალებს.** პარტიული უჯრედის მდივანი უნდა იცნობდეს კომკავშირის მუშაობას, თვითეული კომკავშირელის როლს წარმოებაში, მის კლასობრივ სიფხიზლეს, იდეურ პოლიტიკურ დონეს. მხოლოდ ისეთი ხელმძღვანელობა, რომელიც აგებული იქნება ასეთი კონტროლირების და ოპერატულობის საფუძველზე, მოგვცემს მუშაობის ნამდვილად გარდაქმნას. „პარტიულმა ორგანიზაციამ ისე უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა კომკავშირის ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის ხაზით, რომ ისინი გაეცნონ თვითეულ კომკავშირელ აქტივისტს, გაეცნონ ორგანიზაციების საჭიროებებს, იმუშაონ კომკავშირის საკითხებზე არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არა ოფიციალურ სხდომაზე, არამედ დახმარება გაუწიონ კომკავშირს ყოველდღიურად, ჩაწვდნენ მისი მუშაობის წვრილმანებს, წარმართონ და შეამაღლონ ცალკეული უჯრედების მუშაობა და ყურადღებით ადევნონ თვალყური, რომ პარტმომაგრებულებმა ნამდვილი ხელმძღვანელობა გაუწიონ კომკავშირის მუშაობას“, (ს. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილებიდან).

პარტმომაგრებულებად შერჩეულ უნდა იქნენ კომპუნისტები, რომელთაც შესწევთ უნარი ნამდვილად განახორციელონ კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა. ბევრგან ეს ასე არ არის წეთელ მთის (ოზურგეთის რაიონი) პარტუჯრედის მდივანი იმის ცალკედ, რომ დაეხმაროს კომკავშირს საკავშირო დღის წარმატებით ჩატარებაში, ხელს უშლის მას. ერთიანად საკავშირო დღეს ის იწვევს სხვადასხვა კრებებს და ამით შლის კომკავშირის უჯრედის მუშაობას. განა ასე უნდა კომკავშირისათვის დახმარების და ხელმძღვანელობის გაწევა? ოზურგეთის რაიონში აბრუშუმის ძაფსაღები ფაბრიკის პარტუჯრედის წევრი **გერმანე მიქაბერიძე** აცხადებს: „ბევრი საქმეები მაქვს, კომკავშირში **მუშაობისათვის** არ **ცალია**“./ ტფილისის გარეუბნის რაიონიდან სოფანლუღის პარტუჯრედი (პასუხისმგებელი მდივანი **ალ-ევი**) და ლილოს პარტუჯრედის (პასუხისმგებელი მდივანი ამხ. **ხაზოვი**) არ არსებულებენ ს. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილების კომკავშირის ორგანიზაციის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ.

პარტორგანიზაციები მიმაგრებული ამხანაგების შერჩევას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, არ სრულდება ს.კ.პ. (ბ) ც. კის გასული წლის შვიდი სექტემბრის დადგენილება კომკავშირის უჯრედებზე პარტმიმაგრებულთა შემადგენლობის გადასინჯვის და ისეთი ამხანაგების შერჩევის შესახებ, რომელთაც აქვთ პარტიული მუშაობის გამოცდილება და პარტსტაჟი არა ნაკლებ ორი წლისა.

ლენინური კომკავშირის რიგები შეურჩევლად იზრდება. ამასთან დაკავშირებით ახალი შევსების განტკიცება და თვითეული კომკავშირელისაგან ნამდვილ ბოლშევიკ-ლენინელის გამობრძმედა ჩვენი საბრძოლო ამოცანაა. **„ლენინიზმის შესწავლა, ლენინური სწავლა აუცილებელი პირობაა ამჟამად კომკავშირის აქტივისათვის, რომ ოი გადაიქცეს ნამდვილ ლენინურ აქტივად, რომელსაც ძალუძს აღზარდოს კომკავშირის მრავალმილიონიანი ახალგაზრდობა პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნიზმის ნიადაგზე“,** (სტალინი). მაღალ საფეხურზე უნდა **„დაყენათ კომკავშირელთა შეიარაღება მარქსისტულ - ლენინური თეორიით, თვითეულმა პარტიულმა უჯრედმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ კომკავშირულ პოლიტ-სკოლაში მუშაობა სანიმუშოდ იყოს დაყენებული, სისტემატიურად უნდა ავამაღლოთ კომკავშირული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონე და კლასობრივი სიფხიზლე თვითეულ კომკავშირელისა განმავითარებელი ნამდვილი ბოლშევიკი პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში. თვითეული კომკავშირელის სახელის, ღირსების და შამაცობის საქმედ უნდა გავხადოთ ბრძოლა ახალი ტექნიკის ათვისებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლისათვის, მაღალი მოსავლიანობისათვის სოფლის მეურნეობაში.**

ჩვენ მოგვეპოება არა ერთი და ორი მაგალითი, როცა კომკავშირელთა თუნდაც მცირერიცხოვანი ჯგუფი, სწორი პარტიული ხელმძღვანელობის შედეგად (გვიჩვენებს **სასწაულებს** საკოლმეურნეო მშენებლობაში. კოლმეურნე-კომკავშირელები გამოდიან სოციალისტური ბრძოლის და დამკვრელობის ინიციატორებად, სანიმუშოდ ამუშავებენ ტრაქტორს, კომბაინს, სამაგალითოდ უვლიან მუშა-საქონელს, აწარმოებენ გადამწყვეტ ბრძოლას სოციალისტური საკუთრების განიავების წინააღმდეგ, **ასრულებენ** ავანგარდულ როლს სახელმწიფოს ვალდებულებათა პირნათლად შესრულებაში. **მოწინავეთა გმირული მუშაობის ამ მაგალითზე უნდა აღვზარდოთ იზოტოვები კომკავშირის რიგებში.** ამაშია პარტიული ხელმძღვანელობის ამოცანა.

სასტიკ პასუხისგებაში

პურის ჩაბარების შემხვედრი გეგმის დაწვესებისათვის

(გურჯაანი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

სოფ. **ჯიმითის** (გურჯაანის რაიონი) მცხოვრებ საშუალო გლეხს **ელიზბარ შიშნიაშვილს** წელს გაცილებით მეტი და უკეთესი ხარისხის მოსავალი მოუვიდა შიშნიაშვილის მრავალწევრიანმა ოჯახმა ჯერ კიდევ გაზაფხულის თესვის დაწყების წინ, სახელმწიფოსაგან პურის ჩაბარების გეგმის მიღების შემდეგ, გაათკეცებული ენერგიით მოჰკიდა ხელი თესვის გეგმა-განრიგის შესრულებას.

ელიზბარ შიშნიაშვილმა კარგად იცოდა, რომ სახელმწიფოს წინაშე პურის ჩაბარების ვალდებულების მთლიანად მოხდის და დამზღვევ სათესლე ფონდების გამოყოფის შემდეგ მას უფლება ჰქონდა დარჩენილი მოსავალი მოეხმარა ისე, როგორც თვითონ სურდა. პური გამოეყენებინა როგორც პირადი საჭიროებისათვის, ისე ბაზარზე გასასყიდათ რესპუბლიკაში პურით საკოლმეურნეო ვაჭრობის ნების დართვის შემდეგ.

შიშნიაშვილმა გაზაფხულის თესვა ჩაატარა აგროწესების მტკიცე დაცვით. კარგად მოუარა ნათესებს, დროზე დაამთავრა მოსავლის აღება და ლეწვა. თავისი ოჯახის წევრებით მან არც ერთი თავთავი არ დასტოვა აუღებელი.

აი ასეთი დაუღალავი და ბეჯითი მუშაობის შედეგად შიშნიაშვილის ოჯახმა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გასულ წლებთან შედარებით გაცილებით მეტი მოსავალი მიიღო.

შიშნიაშვილმა სახელმწიფოს პირველ კალოდანვე ჩააბარა 430 კილოგრამი პური. მან პურის ჩაბარების გეგმა ვადამდე 100 პროცენტით შეასრულა. მეტი მოსავალი მოუვიდა შიშნიაშვილს, ისე როგორც მის მეზობლებს. **ასეთი დიდი მოსავლით თავბრუ დაეხვა ჯიმითის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ნიკო ზირაქაშვილს, ის გვერდს უვლის პურის ჩაბარების ახალ კანონს და ჯიმითში თავის „წესებს“ ამყარებს.**

ელიზბარ შიშნიაშვილის ოჯახი სას. საბჭოს თავმჯდომარისაგან ღებულობს ბარათს, რომლითაც მას (შიშნიაშვილს) წინადადება ეძლევა შემხვედრი გეგმის სახით სახელმწიფოს დამატებით ჩააბაროს 180 კილოგრამი პური. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელის ჯარიმა —200 მანეთის რაოდენობით. შეშინებული ელიზბარი ასრულებს სას. საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებას. ის გეგმის გარეშე მიმღებ პუნქტს აბარებს 180 კილო პურს.

თქვენმა კორესპონდენტმა გამოაშკარავა კლასობრივი ხაზის დამხინჯების ეს ფაქტი და სასწრაფოდ აცნობა გურჯაანის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოზაციებს.

ჯიმითის სას. საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც შეშხვედრი გეგმის მიცემით უხეშად დაარღვია პურის ჩაბარების ახალი კანონი, სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

ჩვენ მოვითხოვთ ნ. ზირაქაშვილის საჯაროდ გასამართლებას.

მ. ზარანდია.

მეტი ყურადღება ლეწვას

(ტელეგრაა ფით ოზიდან)

ონის რაიონში პურის მკა და თივის აღება დამკვრელი ტემპებით მიმდინარეობს. გეგმით მთელს რაიონში თივა აღებული უნდა იქნას 6321 ჰექტარზე, ხოლო პური—4259 ჰექტარზე.

20 აგვისტოსათვის პური აღებული იყო 1198 ჰექტარზე, რაც გეგმის 28 პროც. შეადგენს, თივა— 4.721 ჰექტ. (გეგმის 76 პროც.).

პურისა და თივის აღებაში წინ მიდიან **ონის, სორის, უწერის, შუახევის და ბარის სასოფლო საბჭოები.**

პურის ნორმალურ ლეწვას ხელს უშლის სალეწი მანქანების სიმცირე.

რაიონი უკვე შეუდგა საშემოდგომო მოთესვისათვის მზადებას. გეგმით შემოდგომაზე პური უნდა დაითესოს 2400 ჰექტარზე. ამჟამად მიმდინარეობს მანქანა-იარაღების აღრიცხვა და შეკეთება.

თვალჭრელიძე.

მოსავლის აღება და ლეწვა 20 აგვისტოსათვის

საქ. მიწსახკომის ცნობით, 20 აგვისტოსათვის მთელს საქართველოში თავთავიანი კულტურები აღებული იყო **275.718 ჰექტარზე**, რაც შეადგენს **გეგმის 67,6 პროცენტს.** აქედან **საბჭოთა მეურნეობებს** აღებული **აქვთ** 17.764 ჰექტ. (გეგმის 96,6 პროც.), **კოლმეურნეობებს** — 79.124 ჰექტ. (გეგმის 70,8 პროც.), **ერთპიროვნულ მეურნეობებს** — 177.890 ჰექტ., ანუ გეგმის 64 პროც.

იმავე 20 აგვისტოსათვის გალეწილი იყო **175.933 ჰექტარზე** აღებული მოსავალი, გეგმა შესრულებულია **43,1 პროცენტით.** საბჭოთა მეურნეობებს გალეწვის გეგმა შესრულებული აქვთ 66,9 პროც., კოლმეურნეობებს—43,9 პროც.; ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებს—38,6 პროც.,

ცალკე რაიონების მიხედვით მოსავლის აღებისა და ლეწვის გეგმების შესრულების მხრივ ასეთი მდგომარეობა გვაქვს:

რაიონები	მოსავლის აღების შესრულება %	ლეწვის გეგმის შესრულება %
ახალქალაქის	**6,6**	—
ახალციხის	**90,7**	**63,0**
ადიგენის	11,2	1,7
ტოლოშის	6,3	0,7
სტალინისის	98,	61,4
გორის	77,9	60,3
ქასპის	**100,0**	**99,5**
ბორჯომის	18,8	6,6
გურჯაანის	73,4	60,8
სიღნაღის	**100,0**	**72,7**
თელავის	**99,2**	**92,5**
ყვარელის	**97,7**	**95,9**
ლაგოდეხის	**97,0**	**90,2**
ტფილისის	95,2	53,2
ყარაიას	100,0	55,9
ბორჩალოს	91,5	—
ლიუქსემბურ.	889,3	61,5
წალკის	0,4	—
დუშეთის	59,3	22,8
აღბულაღის	65,8	37,7
საგარეჯოს	88,5	48,9
მცხეთის	73,8	—
ბაკურიანის	43,1	3,8
ერწო-თიანეთის	23,9	8,6
საძხ.-ოსეთის	44,3	21,4
ქუთაისის	87,5	—
ხონის	62,4	62,4
ჭიათურის	86,1	1,4
ონის	27,4	0,8
ამბროლაურის	51,0	20,5
ცაგერის	99,6	59,7
ჩოლურის	1,9	—

როგორც ამ ცნობებიდან ვხედავთ მოსავლის აღების ტემპებს ლეწვის ტემპები დიდათ ჩამორჩა. **ბოგდანოვკის** რაიონიდან მოსავლის აღებისა და ლეწვის შესახებ 20 აგვისტოსათვის არავითარი ცნობა არ იყო მოსული. ლეწვის შესახებ ცნობები არ გამოუგზავნიათ აგრეთვე **ბორჩალოს, მცხეთის, ახალქალაქის და ქუთაისის რაიონებს.**

რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მოსავლის აღებასთან ერთად გადაჭრით უნდა გაატარონ ლეწვის ტემპები. ამ საქმეში ჩამორჩენა დანაშაულს უდრის.



პურის აწონვა გალეწვის შემდეგ კარალე თიხ კოლმეურნეობაში (გორის რაიონი)

ჩაიშალა რუმინეთ-გერმანიის ეკონომიური მოლაპარაკება

ვენა, 22 აგვისტო. ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ ჩაიშალა რუმინეთ-გერმანიის მოლაპარაკება, რომელიც იქ ამ დღეებში დაიწყო. მოლაპარაკების ჩაშლა გამოწვეულია გერმანიის დელეგაციის მიერ მიღებული მოთხოვნების წამოყენებით, აგრეთვე იმით, რომ გერმანიის ელჩი ბუქარესტში მოულოდნელად გაემგზავრა გერმანიაში საქონლის შემოტანის ძალიერ შეზღუდვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად.

„ადგილური“ იუწყება, რომ ამ გამოცდამ რუმინეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ წრეებში გამოიწვია მღელვარება და იმის შიში, რომ გერმანიის მხრივ ეკონომიური ზეწოლის შედეგად რუმინეთი იძულებული გახდება ბოლომდე დაუთმოს გერმანიის მოთხოვნებს.

ირლანდიის ნაციონალური გვარდიის დაშლა

შემოღებულია სამხედრო წესები, აღდგენილია სამხედრო სასამართლოები

ლონდონი, 23 აგვისტო. ირლანდიის მთავრობამ არალეგალური ორგანიზაციად გამოაცხადა ნაციონალური გვარდია („ლურჯ ხალათიანთა“ ფაშისტური ორგანიზაცია) და საზოგადოებრივი უშიშროების შესახებ კანონის სიფხიზლეზე შემოღება სამხედრო სასამართლო. ნაციონალური გვარდიის წევრობისათვის ამიერიდან მისაძლებელია დადებული იქნას ყოველგვარი სასჯელი თვით სიკვდილით დასჯამდე. კანონი საზოგადოებრივი უშიშროების შესახებ შემოღებული იქნა ჯერ კიდევ **კოსგრავის** მთავრობის მიერ, რომელმაც ის გამოიყენა ირლანდიის რესპუბლიკანური არმიის (ორგანიზაცია, რომლის ორიენტაცია დევალერას ანტიანგლური რეფლექციური მუშების წინააღმდეგ. სამხედრო სასამართლოს შემადგენლობა ინიშნება იმავე პირებისაგან, რომლებიც შედიოდნენ მასში კონგრესის დროს. სამხედრო სამინისტროს რეზერვებს აუკრძალა ნაციონალური გვარდიაში ყოფნა. ამასთან დაკავშირებით, ნაციონალური გვარდიის ლიდერმა **ოდეფიმ** წინადადება მისცა ყველა რეზერვისტებს, რომლებიც ნაციონალურ გვარდიაში არიცხებიან, გავიდენ გვარდიიდან.

ბრიტანეთის წრეებში ჯერ კიდევ ადრე გაისმოდა კრიტიკა ოდეფის მოქმედების გამო. ამბობენ, რომ მან ამას წინით სცადა მოწყო ლურჯ ხალათიანების აღლუმი დუბლინში, ამჟამად მთავრობის წრეებთან ახლოს მდგომი „დეილი ტელეგრაფი“ აცხადებს, რომ ოდეფი კი არ აერთიანებდა არამედ სთიშავდა ოპოზიციის ძალებს დევალერას მთავრობის წინააღმდეგ. გაზეთების სიტყვით, ამჟამად დე-ვალერას აქვს ყველა უპირატესობანი ოდეფის წინააღმდეგ რომელიც, როგორც ჩანს, „ძალიან ადრე წავიდა დათმობაზე“ (ადს).

ირიო გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში

სტამბოლი, 24 აგვისტო, დღეს ერიო სენატორ ხელენის დეპუტატ ფულენის და ეკონომისტ რეის თანხლებით გემ „ჩიჩერინით“ გაემგზავრა ოდესაში. ერიო გააცილეს საგარეო საქმეთა მინისტრმა თევფიკ—რუშტი ბეის პრეზიდენტის მდივანმა, საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა და ბულგარეთის ელჩმა.

ლენინისძიებები შავი ზღვის ნავთსადგურებიდან ა-კავკასიაში პურის გაზიდვის გასაძლიერებლად

ოდესა. 25 აგვისტო. ოდესაში ჩამოკიდა წყალთა სასაღრო კომისიის მოადგილე ამხ. ზოფი, რომელმაც შეამოწმა შავი ზღვის ნავთსადგურებიდან მარცლეულის გაზიდვის ორგანიზაცია. ნავთსადგურის მუშაკთა თათბირზე ამხ. ზოფმა მოიითხოვა ყველა ძალების გამოყენება იმისათვის, რომ გაძლიერებულ იქნეს ხერსონიდან, ნიკოლაევიდან, ხორლოვიდან და სკადოვსკიდან იმ პურის გამოზიდვა ოდესაში, რომელიც იგზავნება ამიერ-კავკასიაში. მახლობელ დღეებში ოდესიდან გაზიდული უნდა იქნეს 66 ათასი ტონა მარცლეულები. ამხ. ზოფმა განკარგულება გასცა ამისათვის გამოყენებულ იქნეს ყირიმ-კავკასიის ხაზის სამგზავრო გემებიც (ადს).

მივაწვიოთ მოგავალში უფრო მაღალ მოსავალს, ვიდრე მიმდინარე წელს

(უშჯიბრების ხელშეკრულება თათა რის რესპუბლიკას, უშუ ვოლგის მზარესა, დნეპროკეტროგვაჩინასა, ოდესჩინასა და ბაქოჩითის ფორის)

მოსკოვი, 22 აგვისტო. „პრავდა“-ში გამოქვეყნებულია თათართა რესპუბლიკის, შუა ვოლგის მზარის, დნეპროპეტროგვაჩინის, ოდესჩინის და ბაქოჩითის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გრძელდება შეჯიბრება 1934 წლის მოსავლის აღებამდე. შეჯიბრების მონაწილე ოლქები ძირითად ამოცანად ისახავენ მიაღწიონ მომავალ წელს ერთ მაღალ მოსავალს ვიდრე მიმდინარე წელს. ამისათვის ოლქები კისრულობენ სანიმუშოდ დაამთავრონ მოსავლის აღება და პურის ჩაბარება. დაუყოვნებლივ მოაწყონ მოსავლის აღების სამუშაოების ხარისხის გულდასმით შემოწმება, მთლიანად, დაწესებულ ვადაზე და კარგი ხარისხით შეასრულონ საშემოდგომო თესვის და მზრალად ხვნის გეგმები, ჩაატარონ მოსავლის, განაწილება კოლმეურნეობებში შემდეგი ლოზუნგით: „მივიღოთ მომავალ წელს უფრო მეტი მოსავალი და შემოსავალი შრომა-დღეზე, ვიდრე მიმდინარე წელს“. ამასთან დაკავშირებით, ცხადდება 1934 წლის მაღალი მოსავლის დამკვრელთა ლენინური კომკავშირის ხელმძღვანელობას საერთო არაფერი აქვს კომკავშირის მიმართ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ტრადიციებთან.

მხოლოდ მაშინ, როცა კომკავშირის ამა თუ იმ უჯრედში კარგად არის დაყენებული მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმე, როცა თვითეული კომკავშრელი ნამდვილად ასრულებს ავანგარდულ როლს წარმოებაში, რაზმავს მუშურ და კოლმეურნე ახალგაზრდობის მასებს პარტიის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანების გარშემო—პარტიული ორგანიზაცია წარმატებით განახორციელებს ხელმძღვანელობას კომკავშირზე.

პარტორგანიზაციები მიმაგრებული ამხანაგების შერჩევას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, არ სრულდება ს.კ.პ. (ბ) ც. კის გასული წლის შვიდი სექტემბრის დადგენილება კომკავშირის უჯრედებზე პარტმიმაგრებულთა შემადგენლობის გადასინჯვის და ისეთი ამხანაგების შერჩევის შესახებ, რომელთაც აქვთ პარტიული მუშაობის გამოცდილება და პარტსტაჟი არა ნაკლებ ორი წლისა.

ლენინური კომკავშირის რიგები შეურჩევლად იზრდება. ამასთან დაკავშირებით ახალი შევსების განტკიცება და თვითეული კომკავშირელისაგან ნამდვილ ბოლშევიკ-ლენინელის გამობრძმედა ჩვენი საბრძოლო ამოცანაა. **„ლენინიზმის შესწავლა, ლენინური სწავლა აუცილებელი პირობაა ამჟამად კომკავშირის აქტივისათვის, რომ ოი გადაიქცეს ნამდვილ ლენინურ აქტივად, რომელსაც ძალუძს აღზარდოს კომკავშირის მრავალმილიონიანი ახალგაზრდობა პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნიზმის ნიადაგზე“,** (სტალინი). მაღალ საფეხურზე უნდა **„დაყენათ კომკავშირელთა შეიარაღება მარქსისტულ - ლენინური თეორიით, თვითეულმა პარტიულმა უჯრედმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ კომკავშირულ პოლიტ-სკოლაში მუშაობა სანიმუშოდ იყოს დაყენებული, სისტემატიურად უნდა ავამაღლოთ კომკავშირული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონე და კლასობრივი სიფხიზლე თვითეულ კომკავშირელისა განმავითარებელი ნამდვილი ბოლშევიკი პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში. თვითეული კომკავშირელის სახელის, ღირსების და შამაცობის საქმედ უნდა გავხადოთ ბრძოლა ახალი ტექნიკის ათვისებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლისათვის, მაღალი მოსავლიანობისათვის სოფლის მეურნეობაში.**

ჩვენ მოგვეპოება არა ერთი და ორი მაგალითი, როცა კომკავშირელთა თუნდაც მცირერიცხოვანი ჯგუფი, სწორი პარტიული ხელმძღვანელობის შედეგად (გვიჩვენებს **სასწაულებს** საკოლმეურნეო მშენებლობაში. კოლმეურნე-კომკავშირელები გამოდიან სოციალისტური ბრძოლის და დამკვრელობის ინიციატორებად, სანიმუშოდ ამუშავებენ ტრაქტორს, კომბაინს, სამაგალითოდ უვლიან მუშა-საქონელს, აწარმოებენ გადამწყვეტ ბრძოლას სოციალისტური საკუთრების განიავების წინააღმდეგ, **ასრულებენ** ავანგარდულ როლს სახელმწიფოს ვალდებულებათა პირნათლად შესრულებაში. **მოწინავეთა გმირული მუშაობის ამ მაგალითზე უნდა აღვზარდოთ იზოტოვები კომკავშირის რიგებში.** ამაშია პარტიული ხელმძღვანელობის ამოცანა.

საბჭოთა კავშირში

გადავაქციოთ საბჭოთა სუბტროპიკული მცენარეები ნედლეულის მძლავრ წყაროებად სა ხალხო მეურნეობისათვის

საუბარი სუბტროპიკულ მცენარეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლ. ქავაძესთან

მოსკოვი, 22 აგვისტო. საბჭოთა კავშირის საბკომსაბჭომ საბჭოთა კავშირის სუბტროპიკული რაიონების სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის რაციონალურად გამოყენების მიზნით შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან დაარსა სუბტროპიკული მცენარეების საკავშირო კომიტეტი. საკავშირო დეპუტათა საბჭოების თანამშრომელთან საუბარში კომიტეტის თავმჯდომარემ **ამხ. ა. მ. ლეშავამ** იმ ამოცანების შესახებ, რომელიც სწვას კომიტეტის წინაშე შემდეგი განაცხადა:

„ჩვენი ყველა სუბტროპიკული რაიონი მდებარეობს საბჭოთა კავშირის სამხრეთ მხარეებში და ნაციონალურ რაიონებში: შავი ზღვის განაპირას ტუაფსედან ოსმალეთის საზღვრამდე აზერბაიჯანში, მის სამხრეთ ნაწილში, კახეთ ზღვასთან და შუა აზიის რესპუბლიკების სამხრეთ ნაწილში, სუბტროპიკული მცენარეების განვითარების დარგში ჩვენ გვაქვს ისეთი კულტურების გაშენება, როგორიც არის ჩაი, მანდარინი, რამი, რომლისგანაც მიიღება მეტად ძვირფასი ბოჭკო. ჭაობილებისათვის, ზეთოვანი ხე, რომელიც იძლევა მრეწველობის მრავალი დარგისათვის მეტად საჭირო ზეთს, სამკურნალო და სურნელოვანი მცენარეები და სხვ. მაგრამ ყოველივე ამის წარმოება ჩვენში, უმნიშვნელოა. ჩვენ დღემდე მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამდით, სინამდვილეში—კი ჩვენი საბჭოთა კავშირის მრეწველობა და მშრომელი ხალხლობა იმდენად, რამდენადაც უფრო გი თარდება სოციალისტური მშენებლობა, უფრო და უფრო გაძლიერებულ მოთხოვნილებას აყენებენ სუბტროპიკულ ნედლეულზე, სასურსათო პროდუქტებზე, დადგენილ იქნა შეიქმნას სუბტროპიკული მეურნეობა, შესწავლილ იქნეს სუბტროპიკულ მცენარეთა რაიონები, გაფართოვდეს იქ საეც-

ნიერო-კვლევითი და საცდელი დაწესებულებების ქსელი და სწორად იქნეს მოწყობილი მეურნეობა. ამრიგად, ქვეყანამ სუბტროპიკული მცენარეებიდან უნდა მიიღოს ის ნედლეული და პროდუქტები, რომელიც მას აკლია, განთავისუფლდეს ნედლეულის იმპორტისაგან და შექმნას ექსპორტის ახალი წყაროები.

სუბტროპიკული მეურნეობის განვითარება ისეთი შრომისტევადი კულტურებით, რომელიც საჭიროებენ დიდ ჩვეიებს და ცოდნას, დიდად წასწევს წინ ნაციონალური რესპუბლიკების და სუბტროპიკული რაიონების მეურნეობას. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით სუბტროპიკული მეურნეობის ფართობი ამ ხანებში გადიდდება 200 ათასი ჰექტარით. ვინაიდან ჭიდრო-მეტეოროლოგიური ნაიადაგის მხრივ ადგილი მეტად ხელსაყრელია, კოლხიდის დაბლობის ამომშრალ ადგილებში აღმოცენდებიან უძველესი სუბტროპიკული კულტურები.

სუბტროპიკული კომიტეტი პირველ რიგში გააუმჯობესებს და განავითარებს არსებულ მეურნეობებს და ამავე დროს (სახელმწიფო წესით ფართოდ გაშლის სამეცნიერო-კვლევითს და საცდელ საქმეს სუბტროპიკულ რაიონებში. ამ ბაზაზე კომიტეტი ძალებს მთელი ძალით დაძაბავს განავითარებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალ უბანს.

უხეში საკვების განაწილება კოლმეურნეთა შრომა-დღეების მიხედვით

მოსკოვი, 24 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება უხეში საკვების კოლმეურნეთა შორის შრომა-დღეების მიხედვით განაწილების წესის შესახებ.

ამ კოლმეურნეობებში, სადაც თივის ალება სავსებით დამთავრებულია და შესრულებულია განსაზღვრულ საკოლმეურნეო თივის ბუნა და პროდუქტიული პირუტყვი სათვის საჭირო წლიური ფონდის შექმნის სახელმწიფო გეგმა, იწყებენ უხეში საკვების (თივა და ჩალა) დანაწილებას კოლმეურნეობის ზანაწილებას კოლმეურნეებს შორის წლის დასაწყისიდან გამომუშავებული შ

რკინის გზის ტრანსპორტი უნდა მუშაობდეს საათის მექანიზმივით

გავამაგროთ გრიგადები, სადგურები, დეპოები

საუკეთესო კომუნისტებით და უპარტიო აქტივისტებით,

რაღაან იქ წყდება რკ.-გზის ტრანსპორტის ნამდვილად გარდაქმნის საკითხი

განვამტკიცოთ მიღწეული გარდატეხა, გავაძლიეროთ ბრძოლა მუშაობის მთლიანად გარდაქმნისათვის

23 აგვისტოს, საკ. კ.პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებაში შესდგა თათბირი ა.-კ. რკინის გზებზე 15-19 აგვისტოს ერთიანი პარტიული დღის ჩატარების შესახებ.

თათბირზე მოსმენილი იქნა ა.-კ. რკინის გზის ცალკე რაიონების პარტორგანიზაციების წარმომადგენელთა მოხსენებები. გამოირკვა, რომ ა.-კ. რკინის გზის მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის მობრძანი ძიგილთანი გარდატეხა. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და საკ. სახკომსაბჭოს 3 ივლისის დადგენილების საფუძველზე, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ტვირთბიდვის გეგმების შეუსრულებლობას, მთელი რიგი საორთქლმავლო დეპოები და რკინის გზის მნიშვნელოვანი პუნქტები სამარცხვინო დაგვიანებით ამთავრებენ საწარმოო დავალებებს. ა.-კ. რკინის გზის დირექციამ თავი ვერ დაალწია ბიუროკრატიულ - კანცელარული მეთოდებით მუშაობას.

მოხსენებული იქნა აგრეთვე, რომ 15 ივლისს ერთიანი პარტიული დღე ვერ ჩატარდა ორგანიზებულად, სუსტი იყო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, რის შედეგადაც ა.-კ. რკინის გზის პარტიულმა ორგანიზაციებმა სათანადოდ ვერ გამოავლინეს რკინის გზის ტრანსპორტზე მოკალათებული უცხო და შემოპარული ელემენტები, რომელნიც დამრღვევ მუშაობას ეწევიან და ეწინააღმდეგებიან პარტიისა და ხელისუფლების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა გატარებას.

პარტიული დღისათვის მოსამზადებელი მუშაობა 30 ივლისიდან დაიწყეთ, მაგრამ ზოგიერთი რაიონები სამარცხვინოდ ჩამორჩენ მოსამზადებელი მუშაობის გაშლაში. მესამე რაიონის პარტორგანიზატორმა პარტიული დღის ჩატარებისათვის მუშაობა დაიწყო 5 აგვისტოდან, აქ სუსტი იყო წინასწარი სამზადისი. პარტიულ კრებებს არ ეტყობოდათ ორგანიზებულობა. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია თვითდინებას დაეყრდნო. პარტიული დღის ჩატარების საქმეში, ვერ შეაფასა ს.კ.პ. (ბ) იაკას და საკ. სახკომსაბჭოს 3 ივლისის დადგენილების უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობა და არც ეტაპობრივად დაეყრდნო პარტიული დღის ჩატარების საქმეში, ვერ შეაფასა ს.კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და საკ. სახკომსაბჭოს 3 ივლისის დადგენილების საფუძველზე. ჯერ კიდევ ადგილი აქვს ტვირთბიდვის გეგმების შეუსრულებლობას, მთელი რიგი საორთქლმავლო დეპოები და რკინის გზის მნიშვნელოვანი პუნქტები სამარცხვინო დაგვიანებით ამთავრებენ საწარმოო დავალებებს. ა.-კ. რკინის გზის დირექციამ თავი ვერ დაალწია ბიუროკრატიულ - კანცელარული მეთოდებით მუშაობას.

მოხსენებული იქნა აგრეთვე, რომ 15 ივლისს ერთიანი პარტიული დღე ვერ ჩატარდა ორგანიზებულად, სუსტი იყო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, რის შედეგადაც ა.-კ. რკინის გზის პარტიულმა ორგანიზაციებმა სათანადოდ ვერ გამოავლინეს რკინის გზის ტრანსპორტზე მოკალათებული უცხო და შემოპარული ელემენტები, რომელნიც ხელს უშლიან ბოლშევიკური ტემპით მუშაობას, ეწევიან და ეწინააღმდეგებიან პარტიისა და ხელისუფლების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა გატარებას.

შართლად გაიშალა სოციალისტური ბრძოლა და დამკვრელობა

სოციალისტური ბრძოლა ბრიგადებს შორის ამ ბოლო დროს ფართო ხასიათს ატარებს. ამ ბრძოლაში ჩაება 816 მუშა. მოეწყო 6 შაბათობა.

მთელ რიგ ადგილებში კლასობრივი სიფხიზლის გამახვილების და პარტიული დღის ორგანიზებულად ჩატარების შედეგად გამომჟღავნდა ის ელემენტები, რომლებიც დამრღვევ მუშაობას ეწეოდენ. მაგ. მეოთხე რაიონში **გალოინი და ბაიანდუროვი** ეწინააღმდეგებოდენ ტრანსპორტზე რეორგანიზაციის ჩატარებას. სადგურის პარტიული კომიტეტის მდივანის **მამიროვის** უმოქმედობით ჩაიშალა პარტიული დღე. მამიროვს გაფლანგული აღმოაჩნდა საწევრო ანარიცხები, მას კავშირი ქონდა კლასობრივად უცხო ელემენტებთან, რის გამოისაც ის გაირიცხა პარტიიდან. გარდა ამისა, შრომის დისციპლინის დარღვევისა, უცხო ელემენტებთან კავშირის დაჭერისა და პარტიისა და **ხელისუფლების გადაწყვეტილებათა შეუფასებლობისათვის** პარტიის რიგებიდან გაირიცხა 46 კაცი. რეორგანიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით ა.-კ. რკინის გზის დირექციიდან ძირეულ სამუშაოზე გადასროლილი იქნა 58 ინჟენერი, ცალკე რაიონებიდან კი 67.

პარტიული დღის ჩატარებამ საწიმუშო შედეგები მოგვცა

საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და საკ. სახკომსაბჭოს 3 ივლისის დადგენილების გამოქვეყნებისთანავე შეუდგნენ მუშაობას ერთიანი პარტიული დღის ორგანიზებულად ჩატარებისათვის — ამბობს ძერჟინსკის (ბაქო) პარტრაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. **ორეხოვი.**

ამოცანად დავისახეთ რკინის. გზის ტრანსპორტზე ცალკე კონკრეტული საკითხების ბოლშევიკურად გადაჭრა. პარტიული დღის ჩატარებამ ცალკე ობიექტებში მოგვცა სანიმუშო შედეგები. ბალაგვარის მხარეში გაიზარდა კომუნისტების ავანგარდული როლი, 6 დღის განმავლობაში სადგურში მიმდინარეობდა მაბაითობა, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 140 კაცი.

პარტიული დღის ჩატარებასთან დაკავშირებით გეგმის გარეშე მიმდინარე შეკეთებიდან გამოშვებული იქნა 20 ვაგონი.

პარტდღის ჩატარების შედეგად გაიზარდა ბრიგადა სატრანსპორტო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, აგვისტოს პირველი ორი დეკადის საწარმოო დავალება შესრულდა 107 პროც. პარტიული უჯრედების მდივნების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს მუშაობა პურის ვაგონების შეკეთებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ პურის ტვირთბიდვის გეგმის შესრულებას ხელს უშლის მუშა-ხელის ნაკლებობა, რისთვისაც ვატარებთ შაბათობებს; ასეთი მუშაობის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ ბაქო—მეორე განტვირთულია პურის მარაგისაგან.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკ. სახკომსაბჭოს 3 ივლისის დადგენილების დამუშავებასთან დაკავშირებით, კლასობრივმა მტრებმა დაიწყეს მუშაობა რკინის გზის ტრანსპორტის ხელმძღვანელ ორგანოების რეორგანიზაციის წინააღმდეგ. მათ არ სურდათ მუშაობის გარდაქმნა ახალი ფორმებისა და მეთოდების მიხედვით. ასეთი მუშაობისათვის ბაქოს ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნიდან პარტიის რიგებიდან გარიცხული იქნა 2 კომუნისტი, ბალაგვარის დეპოში. პარტიის 2 წევრი. პარტიული დღის ჩატარებასთან დაკავშირებით ბალაგვარის რაიონში დაიწყო მუშაობა ინჟენერ-ტექნიკოსთა ძალების სწორად განაწილებისათვის, მთელი ძალები გადასროლილი იქნა გადამწყვეტ უბნებში. გაიზარდა

ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

შემცირდა ავადმყოფ ორთქლმავლების რიცხვი. პარტდღეზე დიდი იყო პარტიული და უპარტიო მუშათა მასების აქტიობა, დასწრება საშვალოდ უდრიდა 85-დან 90 პროცენტამდე. გადასინჯული იქნა ხელფასის ცხრილი, ხელფასის ტარიფი 22 მუხლიდან დაყვანილ იქნა 8-მდე.

პარტიული დღის ჩატარებას თან ახლდა მთელი რიგი დეფექტები, ზოგიერთ პარტუჯრედებში პარტდღეზე არ იყო გაშლილი ბოლშევიკური თვითკრიტიკა (ბაქოს საორთქლმავლო დეპო), სუსტი იყო კომკავშირის მონაწილეობა. პარტიული დღის ჩატარებაში.

რკინის გზის მეორე საექსპლოატაციო რაიონში საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკ. სახკომსაბჭოს 3 ივლისის დადგენილების დამუშავებამ გამოიწვია შრომითი ენტუზიაზმის ახალი ტალღის აზვირთება,—ამბობს ამხ. **ხობუა.** დადგენილების დამუშავებასთან დაკავშირებით გაიზარდა ბრძოლა რკინის გზის ტრანსპორტის „ვიწრო ადგილიდან" გამოყვანისათვის. ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი, უფრო გაძლიერდა მუშაობა სატრანსპორტო - საფინანსო გეგმების შესრულებისათვის. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია მოემზადებული შეხვდა ერთიან პარტიულ დღეს. მაგალითად, საორთქლმავლო დეპოში სამზადისი მხოლოდ 7 აგვისტოდან დაიწყო. პარტიულ ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ოპორტუნისტული დამოკიდებულება გამოიჩინა პარტიული დღის მოწესრიგებულად ჩატარებისადმი. საერთოდ ხაშურის საორთქლმავლო დეპო ცუდათ მუშაობს. არ აქვს გეგმა. პარტიული დღე დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. ტფილისის საორთქლმავლო დეპოში და სადგურის მეურნეობაში.

დღეს რკინის გზის ტრანსპორტი მოითხოვს პარტ-მასობრივი მუშაობის ბოლშევიკურად გარდაქმნას, ძირეული პარტიული რგოლების: რგოლური უჯრედების, პარტგრუპების და პარტორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას.

კადრები არ არის, რეორგანიზაცია გაუტარებელია

(ფოთის კვანძი)

ფოთის რკ. გზის კვანძის ხელმძღვანელები რეორგანიზაციას დამთავრებულად სთვლიან. ფაქტიურად კი რეორგანიზაცია ქაღალდზეა გატარებული. ადგილებთან არავითარი ცოცხალი კავშირი არ არსებობს. კვანძი ობრძობა დირექტივებსა და ბრძანებებში. ეს გარემოება გავლენას ახდენს გეგმების შესრულებაზე. ასე მაგ: იყო ნიშნით 180 ვაგონის ნაცვლად დღე-ღამეში წარმოებდა 129 ვაგონის გადმოტვირთვა, რაც უდრის 98,8 პროც., დატვირთვა 89,8 ვაგონის ნაცვლად შეადგენდა 85,8 ვაგონს (90 პროც.).

ფოთის სადგურს აკლია კვალიფიციური მუშაკები. მწყობრი, სადგურის მორიგეები და მეისრეები. სადგურის უფროსი რომანიშვილი ამას ყურადღებას არ აქცევს. რაიონის ხელმძღვანელობაც ასე იქცევა. ამ მნიშვნელოვან კვანძს მან მხოლოდ ერთი ტექნიკოსი გადაუგზავნა და მასაც ვერ უშოვეს ბინა. ძირეულ სამუშაოზე გაგზავნეს მხოლოდ სამი კაცი, ამით დამთავრდა რეორგანიზაცია.

განა არ შეიძლებოდა კანცელარიიდან ძირეულ სამუშაოზე მწონავების გადასროლა? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, რაგან მწონავების კვალიფიკაციით აღჭურვილი მუშაკები ამჟამად სადგურის კანცელარიაში საქმით რაოდენობით (80 პროც.) სხედან.

საბაგნო დეპოს დღემდე არა აქვს ბინა, ადგილობრივი ორგანიზაციები ამაზე კრინტსაც არ ძრავენ. სალიანდაგო დისტანციის უფროსმა **ჯ. ჩაჩუამ** საბაგონო დეპოს კანცელარიისათვის გამოანახა ყოველად უვარგისი ბინა, რომლის კატალური რემონტი მხოლოდ ახლა დაიწყეს.

საბაგონო დეპოს აკლია კვალიფიციური მუშაკები. არ ყავთ ხარატი, ურომლისოდაც საბაგონო დეპოს მუშაობა წარმოუდგენელია. დეპოს ხელმძღვანელები კი ამის გულგრილად უცქერიან.

საბაგონო დეპოსთან არ არსებობს ტექბიუროო, რაც საერთო მუშაობას ხელს უშლის, აჭაც ჯერჯერობით მოლოდინში იკარგება ძვირფასი დრო.

საბაგონო დეპო ფოთში მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. უსაქმოდ დარჩენილი დეპოს უფროსი მთელ დროს პრაქტიკულად საქმეებზე ზრუნვას ანდომებს.

გ. სიხარულიძე.
ვ. რუსია.

დისპეტჩერების და სად. უფროსის თანაშემწის ხელფასი გათანაბრებულია

ტფილისის სადგურში ჩატარდა რკინის გზელთა ხელფასის გარდაქმნა საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს 6 ივლისის დადგენილების საფუძველზე.

თვითღებული პროფესიის მუშაკისათვის ხელფასის განსაზღვრის დროს სადგურის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა შემდეგი ორი მთავარი პრინციპით: მუშაობის სირთულე და ხასიათი და მუშაკის კვალიფიკაცია, უნარიანობა და სტაჟი.

საბალხო მატარებლების მთავარ კონდუქტორებად 15 კაცს დაენიშნა თვიურად 200 მანეთი, 20 კაცს —250 მანეთი, და 20-ს—270 მანეთი.

საბარგო მატარებლების კონდუქტორებიდან 20 კაცს—170 მანეთი, თექვსმეტს — 150 მან. და ა. შ.

მატარებლის შემდგენლებიდან 12 კაცს—200 მან., რვას—190 და რვას—170 მანეთი.

გადამბმელებიდან — თორმეტს 155 მან., რვას—135 და რვას — 145 მანეთი.

მეისრეებიდან—ოცდაორს 78 მ., ოცდარვას — 102 მან., ოცდაოთხს —105 მან., ოცდარვას—110 მან. და 32-ს—115 მანეთი.

აქამდე არსებულ 16 ნორმის ნაცვლად შემოღებულია ხუთი დამსხვილებული ნორმა თვითეული ორთქლმავლისათვის და მასზე მიმაგრებული სპეციალურად შერჩეული ბრიგადა.

აღსანიშნავია გზის სამმართველოს უხეირო ხელმძღვანელობა ხელფასის რეფორმის საკითხში. 26 იელისის ბრძანებით სამმართველომ სადგურის დისპეტჩერებს დაუნიშნა თვეში 375 მანეთი, შემდეგ კი შესცვალა ეს და 8 აგვისტოს ბრძანებით დაუნიშნა 350 მან. სადგურის ადმინისტრაცია ასეთმა, ერთმანეთის საწინააღმდეგო ბრძანებებმა გაურკვევლობაში ჩააყენა.

შემდეგ აღსანიშნავია ისიც, რომ სამმართველოს განკარგულებით მოხდა დისპეტჩერების და სადგურის უფროსის თანაშემწეთა გათანაბრება. ამ ორი კატეგორიის მუშაკებს დაენიშნათ ერთნაირი ხელფასი.

ეს შეცდომა გზის სამმართველომ სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს.

ა. ჯ.

ტფილისის სავაგონო დეპოს ძველი დამკვრელი მუშა ამხ. ტ'ერხულიანი ვაგონის შეკეთებაზე

ქუთაისის სატრანსპორტო უჯრედებში ერთიანი პარტდღე მომზადებულად ჩატარდა

(ქუთაისის რკ. გზის კვანძი)

15 აგვისტოს ქუთაისის სატრანსპორტო საკუთხო უჯრედებში ჩატარებული იქნა ერთიანი პარტიული დღე. წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის ფართოდ გაშლამ, პარტ-წევრ - კანდიდატების და კომკავშირელების ყურადღების ენერგიულმა მობილიზაციამ უზრუნველყო როგორც პარტიულ და უპარტიო აქტივის დასწრება, ის მათი აქტიობის ზრდა კრებაზე დასმულ საკითხების დამუშავებაში

ია გამოირკვა პარტდღეზე?

ქუთაისის დეპოში საორთქლმავლო დეპოს გამოეყო საბაგონო პარკი, სადაც გადაყოლილია 3 ინჟ. ტექნიკოსი, მოეწყო ტექნიკური ბიურო, რომლის სათავეშია ინჟ. შენგელია, დაზუსტებულია ნორმები. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ საგრძნობი ჩამორჩენაა. ავადმყოფ ორთქლმავლების პროც. აღწევს 21,5-ს ნაცვლად 17,0-ისა, გაწყვეტილი სვლა გატარებულია მხოლოდ 81,9 პროცენტით. სუსტია ბრძოლა საამქროს პარტ. და პროფორგანიზაციების ხაზით შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, არ სჩანს დისციპლინარული წესდების პრაქტიკულად გატარება. უმოქმედობას იჩენენ საწარმოო თათბირები, მუშები სუსტად არიან გაცნობილი ტექნორმირებას, ინჟ.-ტექნიკოსები უზრუნველყოფილი არ არიან ბინებით, ზოგიერთი პარტ ამხანაგი ირღვევს დისციპლინას, ადგილი აქვს პარტანარიცხის დავალიანებას და სხვ.

დასასრულ მოხსენებათა გარშემო შემუშავებული იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი და გამოიყო ბრიგადა, რომელსაც დაევალა გაწყვეტილი სვლის ჩაშლის შემთხვევაში წინააღმდეგ ბრძოლის გაშლა.

ლიანდაგის დარგში ერთიანი პარტდღე ჩატარდა ტრანსპორტელთა ფართო მასების მონაწილეობის და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის ნიშნის ქვეშ. კრებას ესწრებოდენ პარტკომკავშირლები 95 პროც.-ით, უპარტიონი აქტივი 86 პროც. კრებაზე მოხსენებით გამოვიდენ ლიანდაგის დისტანციის უფროსი ეპიტოვი, კომუნარედის მდივანი გაბუნია და ბრიგადის ხელმძღვანელი მელუა.

მომხსენებლებმა აღნიშნეს საზოგების შეუსრულებლობის მიზეზები, ნორმირების საქმის მოუგვარებლობა, ხელფასის გათანაბრების პრაქტიკა ლიანდაგის დარგში, შრომის დისციპლინის დარღვევის აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, საამხანაგო სასამართლოების უმოქმედობა, მუშათა მომარაგების და კვების საქმის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, გამომუშავებლობის და რაციონალიზაციის საქმის გაუშლელობა და ს.ხ. მოხსენებათა გარეშე გაისმართა ცხოველი კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 9 ამხანაგმა. ისინი აღნიშნავდენ იმ ძირითად მიზეზებს, რაც ხელს უშლის ლიანდაგის დარგის გეგმის შესრულებას.

ლიანდაგის მეურნეობაში მწვავე დანაკლისია განძილების, საამისოდ მიცემულ თანხიდან დახარჯულია მხოლოდ 7 პროც. მიღებული არ არის სამაგრები, რონების და გადამყვან ძალების ცვლის გეგმა დიდ გარღვევებს განიცდის რაიონის კანტორაში. ამ საკითხისადმი ადგილი აქვს კანცელარულ - ბიუროკრატიულ მიდგომას.

კრებაზე თავი დამკვრელად გამოაცხადეს ლიანდაგის მუშებმა: ივ. გაბუნიამ, ბაკურაძემ, უგლავამ, ხმე ლიძემ; შავგულიძემ; ლოლიძემ, მიქაბერიძემ და ვ. ჩხაბერიძემ და აიღეს ვალდებულება ბოლშევიკურად იბრძოლონ ს.კ.პ. (ბ) ც. კ. და საკ. სახკომსაბჭოს 3 ივლისის დადგენილების რეალიზაციისათვის.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა: ვ. ლაღიაშვილი, დ. ჭავჭავაძე.

კლიენტები ხელს უშლიან სადგურ ტფილისის მუშაობას

ტფილისის რკინის გზის სადგურმა, მთავრობის და პარტიის დადგენილებათა საფუძველზე მუშაობის გარდაქმნით შესძლო ერთგვარი გარდატეხის მიღწევა სატვირთო და სამანევრო მუშაობაში. ივლისში სადგურის მუშაობის ძირითადი მაჩვენებელები შესრულებულია გადაჭარბებით. ყველა ვაგონების ა ერთო მოცდენა გეგმით დაწესებულ 11,6 საათის ნაცვლად უდრიდა 10,3 საათს (103 პროც.); კერძოდ სატრანზიტო ვაგონების მოცდენა 6,4 საათის ნაცვლად 5,9 საათს (გეგმის 108,4 პროც.). ასევე გადაჭარბებით იქნა შესრულებული სამანევრო მუშაობაც. გეგმით დაველებულ 7 ვაგონის ნაცვლად, სადგური საათში ამუშავებდა 7,6 ვაგონს (108,6 პროც.). დღიური შრომის ნაყოფიერება თითოეულ მუშაზე დაწესებულ 12,04 ტონას ნაცვლად უდრიდა 13,53 ტონას (112,3 პროც.). თითოეულ გადამუშავებულ ტონა ტვირთის თვითღირებულება 61,87 კაპ. ნაცვლად, უდრიდა — 53,22 კაპეიკი, ანუ 16,2 პროც. ნაკლები იყო.

ასეთივე მიღწევები აქვს სადგურს აგვისტოს პირველ დეკადაში. ვაგონების მოცდენა ამ პერიოდშიც დაწესებულ ნორმაზე ნაკლები იყო; 10,6 საათის ნაცვლად, იგი უდრიდა 10,4 საათს (გეგმის— 101,9 პროც.). შვიდი ვაგონის ნაცვლად სამანევრო მუშაობის პროცესში სწარმოებდა 7,3 ვაგონის გადამუშავება საათში (104,3 პროც.). დეკადის განმავლობაში სადგურმა მიიღო 1635 ვაგონი და აქედან თავის დროზე განტვირთა 1590, დარჩა განუტვირთავი 45 ვაგონი.

ვაგონების განტვირთვა ტფილისის სადგურის მუშაობის ყველაზე მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს, მაგრამ ამაში ბრალი მიუძღვის მეტწილად კლიენტებს, რომელთაც დროზე არ გააქვთ სადგურის ტერიტორიიდან მათ სახელზე მიღებული ტვირთი.

„სამშენი", „საქმარაგგასაღება", საქ. სახკომსაბჭოს სასახლის სამშენებლო კანტორა, ა.-კ. გზათა ინჟენერების ინსტიტუტი, გამასწორებელ დაწესებულებათა სახ. სამმართველო და სხვ. სისტემატიურად არღვევენ სადგურის ტერიტორიაზე მუშაობის წესებს. მაგ.: „საქმარაგგასაღება" არ ტვირთავს საქონელს თავის დროზე, ან როდესაც ტვირთავს, ყოველად უმსგავსოდ, ტვირთები იყრება ლიანდაგზე, რაც ხელს უშლის სამანევრო მუშაობას. ადგილი აქვს სამანევრო ორთქლმავლების მუშაობის შეჩერებას 2, 4 და მეტი საათების განმავლობაში. ამის შესახებ მოწმობენ მრავალად შედგენილი აქტები.

აღსანიშნავია ერთი მეტად საყურადღებო გარემოება, რომელიც ყურეთვე ხელს უშლის სადგურის მუშაობას. ესაა ცალკე სამეურნეო ორგანიზაციებზე მიწერილ რკ. გზის ჩიხების ყოვლად უვარგისი მდგომარეობა. ასეთი ჩიხები მოეპოებათ ჩრდილოეთის და სამხრეთ პარკებში: მექანიკურ ქარხანას, ავტომშენებელ ქარხანას, ა.-კ. თბობეტონს, თბაზშირის ქარხანას, საქ. მკერავატრესტს, მაუდ-კამვოლის ფაბრიკას, გამასწორებელ დაწესებულებათა სახ. სამმართველოს, ლითონის კონსტრუქციათა ქარხანას, ფერომარგანეცის საცდელ ქარხანას, საქ. მარაგგასაღებას, სახ. პოლიტსამმართველოს სამშენებლო ბიუროს, სალითონო ბაზას, „სოიუზხლებ"-ს, „რემმაშტრესტ"-ს და სხვ. უყურადღებობის გამო ჩიხები უვარგის მდგომარეობაშია, შეალუბი დამპალია, რელსები არ არის დაკავშირებული ერთმანეთზე მტკიცედ და მათი გამოყენება საფრთხეს წარმოადგენს სამანევრო მოძრაობისათვის. ამის გამო ყველა ეს ჩიხები დღეს დაკეტილია. შეწყვეტილია ვაგონების მიწოდება უშუალოდ ჩამოთვლილ ორგანიზაციების საწყობებისადმი, რაც ერთის მხრით იწვევს ზედმეტ ხარჯებს ტვირთის შორეულ მანძილებზე გადაზიდვის გამო, ხოლო მეორეს მხრით — სადგურის ტერიტორიაზე ტვირთის დაგროვებას.

ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად უნდა ვაიძულოთ ჩიხების მეპატრონენი დაუყოვნებლივ შეაკეთონ თავიანთი ჩიხები. ტრანსპორტი შემოდგომა - ზამთრის ტვირთ-ბიდვის წინაშე სდგას და თუ კლიენტურამ არ შეუწყო მას ხელი, იგი მარტო ვერ შესძლებს დაკისრებულ სახასუხისმგებლო ამოცანების შესრულებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „სოიუზხლებ"-ის დაუდევრობა. წელს მოსალოდნელია პურის დიდძალის ტვირთის მიღება, რომელიც უნდა დაიცალოს „სოიუზხლებ"-ის საწყობებში. ამიტომ „სოიუზხლებმა" ეხლავე უნდა იზრუნოს თავისი ჩიხის შეკეთებაზე და უზრუნველჰყოს სადგურში მოსულ პურის ტვირთების დროული გადატვირთვა თავის საწყობებში.

ტფილისის სადგურის მეურნეობამ უნდა შესძლოს მუშაობაში მიღწეულ გარდატეხის კიდევ უფროს გაღრმავება. ტფილისის სადგურს უნდა მუშაობდეს რაც შეიძლება უსტად და სამაგალითო უნდა გახდეს ყველა დანარჩენ სადგურებისათვის ა.-კ. რკ. გზაზე.

ა. ჯ.

სანიმუშოდ ჩავატაროთ ბოსტნეულის აღება. გადაზიდვა და შენახვა

მრეწველობისა და კოოპერაციის საგარეუბნო მეურნეობათა უმრავლესობა შედის ბოსტნეულის მასობრივი აღების პერიოდში. ბოსტნეულის აღება ჯამს უკეთებს მიდინარე წლის ბოსტნეულის მთელი კამპანიის შედეგებს. ეს არის ის დიდი მუშაობის დამამთავრებელი ეტაპი, რომელიც ჩატარებულია გაზაფხულსა და ზაფხულში მუშათა მომარაგების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანზე. საგარეუბნო მეურნეობებში, სადაც დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული გათოხნის სამუშაოები, მოსალოდნელია გაცილებით უფრო მეტი მოსავლის მიღება, ვიდრე გასულ წელს. მაშასადამე, მრეწველობის და ტრანსპორტის მუშათა ბოსტნეულით მომარაგების შემდგომი გაუმჯობესება დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და თავის დროზე იქნება აღებული, გადაზიდული და რამდენად იქნება დაცული გატაცებისა და დანაკარგებისაგან.

ბოსტნეულის აღება, გადაზიდვა და აღებული ბოსტნეულის მთლიანად შენახვა მუშა-მომხმარებლისათვის — ნიშნავს ნამდვილად იბრძოლო მრეწველობის და ტრანსპორტის პროლეტარების უკეთ მომარაგებისათვის, ხოლო ეს, როგორც ცნობილია, ამყარებს წარმოადგენს მუშათა მომარაგების ცენტრალურ ამოცანას. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება თავისი სახელმწიფო ფონდებიდან ამარაგებენ მრეწველობის და ტრანსპორტის პროლეტართა მრავალმილიონიან მასებს საჭირო საკვები პროდუქტებით (და ფართო მოხმარების საგნებით). ეს არის—ერთი და ჯერჯერობით მთავარი წყარო, მთავარი ბაზა, რაც უზრუნველყოფს მუშათა მომარაგების პრივილეგიურობას, ჩვენი ქვეყნის დანარჩენ მშრომელთა მომარაგებასთან შედარებით. მაგრამ არის მუშათა სასურსათო მომარაგების მეორე წყარო, რომლის რილიც წლითიწლობით იზრდება. ეს არის—მრეწველობის და კოოპერაციის საგარეუბნო მეურნეობანი, პროლეტარული სახელმწიფო ცდილობს განამტკიცოს და განავითაროს მეორე წყარო, რომელიც უზრუნველყოფს მუშათა მომარაგების შემდგომ გაუმჯობესებას. ამით აიხსნება, რომ საგარეუბნო მეურნეობები დაბანდებულია დიდძალი თანხები, რაც რამდენიმე ასეულ მილიონს მანეთს აღწევს.

მუშათა მომარაგების განყოფილებათა შექმნა, სხვა ყველაფერის რომ თავი დავანებოთ, წარმოადგენს მუშათა მომარაგების ამ ორგანოების ორგანიზაციულ გაფორმებას, რომლებსაც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით შეუძლიათ უზრუნველყონ პროლეტარული ცენტრების და ტრანსპორტის მუშათა უკეთ მომარაგება, მოსავლის აღების საგარეუბნო მეურნეობებში— ეს არის დიდი საერთო საკავშირო მნიშვნელობის სამეურნეო-პოლიტიკური კამპანია.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის პრეზიდიუმის და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილება, „მუშათა მომარაგების განყოფილების და კოოპერაციის მეურნეობებში ბოსტნეულის და კარტოფილის აღებისა და შენახვისათვის მზადების შესახებ", რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, აშკარად მოწმობს, რომ სამეურნეო მუშაკთა და კოოპერატორებს შორის ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება ისეთი ადამიანები, რომელებსაც ეს არ ესმით და აღნიშნულ საქმეებს ეკიდებიან მუშათა მომარაგების ბოსტნეულით.

პარტია და მთავრობა არაერთხელ აღნიშნავდენ, რომ სამრეწველო ცენტრების და ტრანსპორტის მუშათა მომარაგება ბოსტნეულით და კართოფილით წარმოადგენს, უწინარესი ყოვლისა, პურ-ით და ხორცით მომარაგების თანაბრად, უმნიშვნელოვანეს, პირველი რიგის საკითხს, ც.კ-მა და სახკომსაბჭომ ჯერ კიდევ 16 ივნისს მისცეს წინადადება სათანადო ორგანოებს, ჩატარებინათ კართოფილის აღება 15-20 სამუშაო დღეში, ხოლო კომბოსტოს აღება — 10-12 სამუშაო დღეში და ფართოდ ეწარმოებინათ ბოსტნეულის არჩევითი აღება მისი დამზრეობის მიხედვით". ნათელი და გასაგები დირექტივაა. და მაინც მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშათა მომარაგების განყოფილებებმა 10 აგვისტოსთვის მისაყალი აღება მხოლოდ მათ მიერ ბოსტნეულით დათესილი ფართობის 3,8 პროცენტიდან. სამხრეთშიაც კი —ყირიმში, ოდესის ოლქში, ჩრდილოეთ კავკასიაში — მრეწველობის და კოოპერაციის საგარეუბნო მეურნეობებში აღებულია დამუშავებული ნიადაგის მხოლოდ ერთეული პროცენტები. რატომ არ შესრულდა პარტიის და მთავრობის სავსებით გარკვეული, უაღრესად ნათელი დირექტივა?

„მრავალი დირექტორი, მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი და მუშათა დახურული კოოპერატივის თავმჯდომარე ბოსტნეულის და კართოფილის აღებისა და შენახვის საქმეს მოეკიდნენ, აშკარად მოწმობს, რომ სამეურნეო მუშაკთა და კოოპერატორებს შორის ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება ისეთი ადამიანები, რომელებსაც ეს არ ესმით და აღნიშნულ საქმეებს ეკიდებიან მუშათა მომარაგების ბოსტნეულით.

პარტია და მთავრობა არაერთხელ აღნიშნავდენ, რომ სამრეწველო ცენტრების და ტრანსპორტის მუშათა მომარაგება ბოსტნეულით და კართოფილით წარმოადგენს, უწინარესი ყოვლისა, პურ-ით და ხორცით მომარაგების თანაბრად, უმნიშვნელოვანეს, პირველი რიგის საკითხს, ც.კ-მა და სახკომსაბჭომ ჯერ კიდევ 16 ივნისს მისცეს წინადადება სათანადო ორგანოებს, ჩატარებინათ კართოფილის აღება 15-20 სამუშაო დღეში, ხოლო კომბოსტოს აღება — 10-12 სამუშაო დღეში და ფართოდ ეწარმოებინათ ბოსტნეულის არჩევითი აღება მისი დამზრეობის მიხედვით". ნათელი და გასაგები დირექტივაა. და მაინც ძმიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშათა მომარაგების განყოფილებებმა 10 აგვისტოსთვის მისაყალი აღება მხოლოდ მათ მიერ ბოსტნეულით დათესილი ფართობის 3,8 პროცენტიდან. სამხრეთშიაც კი —ყირიმში, ოდესის ოლქში, ჩრდილოეთ კავკასიაში — მრეწველობის და კოოპერაციის საგარეუბნო მეურნეობებში აღებულია დამუშავებული ნიადაგის მხოლოდ ერთეული პროცენტები. რატომ არ შესრულდა პარტიის და მთავრობის სავსებით გარკვეული, უაღრესად ნათელი დირექტივა?

„მრავალი დირექტორი, მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი და მუშათა დახურული კოოპერატივის თავმჯდომარე ბოსტნეულის და კართოფილის აღებისა და შენახვის საქმეს მოეკიდნენ, აშკარად მოწმობს, რომ სამეურნეო მუშაკთა და კოოპერატორებს შორის ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება ისეთი ადამიანები, რომელებსაც ეს არ ესმით და აღნიშნულ საქმეებს ეკიდებიან მუშათა მომარაგების ბოსტნეულით.

გაღიზიანებით უნდა იქნას გადალახული მოსავლის აღების კამპან

მზარეული — საზოგადოებრივი კვების ინჟინერია

ლაპარაკობენ კონკურსში გამარჯვებულნი

ამხ. არჩვაძე

ტფ. ინჟინერ-ტექნიკოსთა დახურულ სასადილოს მზარეული

აღვზარდოთ მზარეულთა ახალი კადრები



საუკეთესო მზარეული, ამხ. გიორგი მაჩაიძე (ტფილისის რაიონის სატრანსპორტო კოოპ. № 2 სასადილოს) მზარეულთა რესპუბლიკურ კონკურსში მიიღო პირველი ჯილდო

ბედნიერად ვთვლი ჩემ თავს როდესაც ვუყურებ, რომ კვების მუშაკებს ასე აფასებენ. ის ამხანაგური მოპყრობა, ნდობა და დახმარება, რომელსაც ჩვენ გვიწევს პარტია და ხელისუფლება, აორკეცებს ჩვენს ენერგიას.

ჩემი გამარჯვება კონკურსში არ არის მარტო პირადი საქმე, ეს აგრეთვე დიდი საზოგადოებრივი საქმეა, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი მშენებლობის დამკვრელთა, კერძოდ ინჟენერ - ტექნიკოსთა კვების გაუმჯობესებას. მაგრამ მე მარტო ვერაფერს გავხდებოდი, ჩვენი სასადილოს მუშაკთა მთელი კოლექტივი რომ არ დამხმარებოდა. მე მზად ვარ უფრო მეტი პასუხისმგებლობით ვიმუშაო ამ კოლექტივთან ერთად, რომ მივაღწიოთ საზოგადოებრივი კვების შემდგომ გაუმჯობესებას.

ჩვენი გამარჯვებით კონკურსში არ მთავრდება ბრძოლა საუკეთესო სასადილოსა და მზარეულისათვის. ჩვენ მომავალშიაც უნდა დავეხმაროთ ჩამორჩენილ სასადილოს მუშაკებს და გადავცეთ მათ ჩვენი გამოცდილება.

დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც გვეკისრება, ჩვენ, ძველ მზარეულებს, ახალი კადრების მომზადების და მათგან საუკეთესო მზარეულთა აღზრდის საქმეში, უთუოდ პირნათლად იქნება შესრულებული, რადგან პარტია და ხელისუფლება ასე ენერგიულად გვეხმარება.

ამხ. ვანო კუბლაშვილი

ტრამვაის მუშათა დახ. სასადილოს საუკეთესო მზარეული

მოვაწყოთ მზარეულთა საწარმოო თათბირები



საუკეთესო მზარეული ამხ. ბრეგაძე (კოოპ. „მეომრის" № 1 სასადილო) მზარეულთა რესპუბლიკურ კონკურსში მიიღო პირველი ჯილდო

ჩვენ დაგვაკმაყოფილებს საუკეთესო მუშაობისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ ბრძოლაში საჭმლის გაუმჯობესებისათვის, და ვამარცხებთ მუშაობის ცუდი მეთოდები, უცოდინარობა და ჩამორჩენილობა.

იმ ამხანაგებმა, რომლებიც ჯერ კიდევ არ ატარებენ საუკეთესო მზარეულის საპატიო სახელს, მაგრამ რომელთაც შეუძლიათ ამ სახელის მოხვეჭა, ამოცანად უნდა დაისახონ სამზარეულო საქმის საფუძვლიანად შესწავლა. ჩვენ, საუკეთესო მზარეულები, მზად ვართ დავეხმაროთ ასეთ ამხანაგებს. ამ მიზნით საჭიროა ხშირად ეწყობოდეს მზარეულთა საწარმოო თათბირები, სადაც უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ ჩვენი მუშაობის შესახებ, გადავცემთ ერთმანეთს გამოცდილებას.

ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მოპოებული მოწვევებით. ჩვენ გვინდა გვქონდეს კიდევ უფრო გაუმჯობესებული კვება; ამ საქმეში კი მზარეულს უდიდესი როლი ეკისრება.

ამასთან, აუცილებელია გავზარდოთ მზარეულის პასუხისმგებლობა და როლი სასადილოს მომარაგების საქმეში; იგი უნდა ჩავაბათ ავარიებანო მეურნეობის მოწყობის საქმეში, რომ ამით გავაძლიეროთ სასადილოების სასურსათო ბაზა და გავაუმჯობესოთ მუშათა კვება.

ამხ. სანდრო ბაკურაძე

კალინინის სახ. ჭარხნის სასადილოს გამგე (ყოფ. მზარეული)

მზარეული ორგანიზატორი

საუკეთესო მზარეული ამხ. ივ. გველესიანი (ტატალინის სახ. სარმონტო ჭარხნის № 1 სასადილო). მზარეულთა რესპუბლიკურ კონკურსში მიიღო პირველი ჯილდო

ჩვენს სასადილოში უდიდესი მუშაობა ჩაატარა საუკეთესო მზარეულმა ამხ. **უგრეხელიძემ**, რომელიც ამჟამად მოსკოვშია გაგზავნილი მზარეულთა საკავშირო შეკრებაზე.

ზოგჯერ კვალიფიკური მზარეული ვერ გამოიჩენს ხოლმე თავს. ამის მიზეზია სასადილოს კოლექტივის შეუთანხმებელი მუშაობა, ტექნიკური მოწყობილობის, ინიციატივის და მონდომების უქონლობა და სხვ.

საუკეთესო მზარეული ვერ იქნება ის, ვინც მხოლოდ სამზარეულოში ტრიალებს. ამით დაკმაყოფილება უკვე არ შეიძლება. საზოგადოებრივი კვების დარგში მომუშავე მზარეული უნდა იყოს ორგანიზატორი, მას უნდა მოაწყოს სამზარეულოს და სასადილოს მუშაობა.

ამაშია ამხ. **უგრეხელიძის** გამარჯვების საიდუმლოებაც. როდესაც მან დაიწყო ჩვენთან მუშაობა, სასადილოს მაშინ მრავალი დეფექტი ჰქონდა, ვერ აკმაყოფილებდა მომხმარებლის მოთხოვნილებას. ადმინისტრაციის, პროფკომის და მუშათა დახურული კოოპერატივის დახმარებით ამხ. უგრეხელიძემ მოახერხა სასადილოს მუშაობის გადახალისება და შრომის დისციპლინის განმტკიცება.

ახლა სასადილოს მუშაკთა შორის უგრეხელიძეს იმდენად დიდი ავტორიტეტი აქვს, რომ თვითეული მუშაკი ცდილობს მიბაძოს მას.

ყველა მზარეულმა უნდა იმუშაოს ამხ. უგრეხელიძესავით.

ამხ. ვანო კუბლაშვილი

მზარეულთა რესპუბლიკური კონკურსის შედეგები

ორი წლის წინ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ.-მა გამოიტანა ისტორიული დადგენილება საზკვების ქსელის გაფართოების შესახებ. ამ ხნის განმავლობაში მუშაობა საზკვების გაფართოების მიზნით მიმდინარეობდა ამ დადგენილების საფუძველზე, რის შედეგად მოპოვებულია მნიშვნელოვანი მიღწევები. ეს მიღწევები გამოამჟღავნა **რესპუბლიკურმა კონკურსმაც საუკეთესო მზარეულზე**, რომელიც ახლახან დამთავრდა.

ამ კონკურსმა და სასადილოების შერჩევითმა გამოკვლევებმა ერთხელ კიდევ ცხადყო ის გარემოება, რომ **მზარეული სასადილოში წარმოადგენს უმთავრეს ფიგურას**, რომ იგია საზკვების ინჟენერი რომ საქმელის ხარისხს წყვეტს უმთავრესად მზარეული. იქ, სადაც ცუდი ხარისხის საქმელი მზადდება, ცუდი მზარეული მუშაობს, სადაც კარგი საქმელია—მზარეულიც კარგია.

ჩატარებულმა კონკურსმა საქართველოში გამოამჟღავნა არა ერთი კარგი მზარეული. ასეთია მაგალითად ამხ. კალინინის სახ. ტფილისის მექანიკური ქარხნის სასადილოს მზარეული ამხ. **უგრეხელიძე**, 26 კოოპერატივის სახ. ჭარხნის მზარეული ამხ. **კოჩლაძე** და მთელი რიგი სხვა სასადილოების მზარეულები, რომლებმაც უჩვენეს დამკვრელური მუშაობის ნიმუში და კონკურსში დაიჭირეს პირველი ადგილი.

საქ. საზკვების სასადილოების 935 მზარეულიდან კონკურსში საუკეთესო მზარეულზე მონაწილეობდა და 305. ამათგან, ჟიურიმ რესპუბლიკანური ჯილდო მისცა 15 მზარეულს, ადგილობრივი ჯილდო — კი 42-ს.

რესპუბლიკანურ ჯილდოზე წარსდგენ: ტფილისის საზკვების ტრესტის საუკეთესო მზარეულები: — **ამხ. ვასო კოჩლაძე, კოლია უგრეხელიძე, ზაქრო ბენდანიშვილი, ვანო კუბლაშვილი**, სატრანსპორტო კოოპერაციიდან — **სპირიდონ მაისურაძე, ვასო ხომასურიძე, გიორგი მაჩაიძე**; სამხედრო სექციიდან — **ბრეგაძე**, პოლიტ - სამმართველოს სასადილოდან — **ვლადიმერ სოხაძე**, საზკვების ქუთაისის ტრესტიდან — **სიმონ ცხვედიანი და ბიქტორ ტოროშელიძე**; ბათომიდან მზარეული ქალი — **ბაირამიდი** და სოხუმიდან — **ჩაჩავა**.

გაიგზავნა მოსკოვში მზარეულთა საკავშირო შეკრებაზე საუკეთესო მზარეულები ამხ. **უგრეხელიძე** და **კოჩლაძე**.

პროპაგანდისტის კუთხე

როგორ შეასრულეს გერმანელმა ფაშისტებმა თავისი დაპირებანი

გერმანიის „ნაციონალ - სოციალისტური" პარტია წარმოადგენს აშკარა ფაშისტურ დიქტატურის პარტიას, გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის, მსხვილი ბურჟუაზიის და მემამულეების აგენტურას.

აშკარა ფაშისტური დიქტატურის მთავრობა ნახევარი წელიწადია, რაც დგას ხელისუფლების სათავეში.

როგორ შეასრულეს ფაშისტებმა თავისი დაპირებანი?

გერმანიის მოსახლეობა 67 მილიონი კაცისაგან შესდგება. გერმანიაში ირიცხება 15 მილ. მუშა, აქედან დაახლოებით 11 მილ. ინდუსტრიალური პროლეტარია. მოსამსახურეთა და მოხელეთა რიცხვი 6 მილიონ კაცს აღწევს, ხელოსნების—1 მილიონს, წვრილი ვაჭრების—1 მილიონს.

2½ მილიონი მოჯამაგირის გარდა, გერმანიაში არის 3.100 ათასი ღარიბი მეურნეობა, რომლებსაც აქვთ 2 ჰექტარზე ნაკლები მიწა, და 900 ათასი მეურნეობა, რომლებსაც აქვთ 2-დან 5 ჰექტარამდე მიწა.

ამის გარდა, გერმანიაში სულ ცოტა 4 მილიონ კაცს შეადგენენ აგრეთვე წოდებული „გახასზღვრული პროფესიის არმქონე პირები".

კრიზისის სიმწვავე იწვნია იქ არა მარტო მუშათა კლასმა, არამედ სოფლის და ქალაქის წვრილმა ბურჟუაზიამაც. გლეხური მეურნეობათა მასობრივმა გაღატაკებამ, წვრილი ვაჭრების გაკოტრებამ, ხელოსანთა გაღატაკებამ შექმნეს ამ მილიონებს შორის უკმაყოფილების სტიქიური განწყობილებანი.

ბურჟუაზიამ და მემამულეებმა შექმნეს და აღზარდეს ფაშისტური პარტია რომელმაც გამოიყენა ამ მასების უკმაყოფილების განწყობილებანი.

დეკლასირებული, უმუშევარი ოფიცრობა, რომელმაც ომის დამთავრებასთან ერთად დაკარგა თავისი „პროფესიები" და პროვოლეგიები, მემამულეებისა და ბურჟუების შვილები, აგრეთვე დეკლასირებულ ჯარისკაცთა ზოგიერთი, მეტად უმნიშვნელო ჯგუფი გახდა „ნაციონალ-სოციალისტთა" მაშინ ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი პარტიის მასალა.

1919 წელს დაწყებულმა კრიზისმა გააძლიერა გაღატაკების გზაზე დამდგარ ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის, ხელოსნების და გლეხობის უკმაყოფილების განწყობილებანი.

ფაშისტებმა მიმართეს მატყუარა სოციალურ დემაგოგიას, მათ თავისი აგიტაციის და პროპაგანდის მთავარ ობიექტად აირჩიეს „საშუალო ფენები" და ამ ფართო რეზერვუარიდან აგროვებდენ ისინი თავის მომხრეთა ძირითად მასებს.

1920 წლის თებერვალში მიღებულ იქნა „ნაციონალ-სოციალისტური მუშათა (!) პარტიის პროგრამა", რომელიც შესდგება 25 მუხლისაგან. ამჟამად, ამ პარტიის ხელისუფლების სათავეში ყოფნის 6 თვის შემდეგ, ეს „პროგრამა" წარმოადგენს ფაშიზმის წინააღმდეგ მაფხიზლებელ დოკუმენტს, რომელიც ცხადყოფს მის დაპირებათა მთელ სიყალბეს და ააშკარავებს მასების მოტყუების მთელ სიცრუეს.

ამ პროგრამაში ნაციონალ-სოციალისტები დაპირდენ გლეხებს მიწის მიცემას. „მიწის რეფორმა, რომელიც შეეფერება ჩვენს ნაციონალურ მოთხოვნილებებს, კანონის შემნა საზოგადოებრივი მიზნებისათვის მიწის ჩამორთმევის (უსასყიდლოდ) შესახებ" (მუხ. 17). მაგრამ უკვე 1928 წელს მემამულეებმა წინადადება მისცეს ნაციონალ-სოციალისტებს შეეტანათ „შესწორება" ამ მუხლში.

„შესწორება" დაუყოვნებლივ იქნა შეტანილი არა სხვა ვინმეს, არამედ თვით ადოლფ ჰიტლერის მიერ (1928 13 აპრილს). „ვინაიდან ნაციონალ-სოციალისტური პარტია დგას კერძო საკუთრების ნიადაგზე, თავისთავად ცხადია, რომ ტერმინი „უსასყიდლოდ ჩამორთმევა" ეხება მხოლოდ კანონიერ შესაძლებლობათა შექმნას იმისათვის, რომ წაართვას მიწათ სარგებლობის უფლება იმათ ვინც მიიღო (!) ივი არაკანონიერად ან ცუდათ განაგებს მას".

ე თვეა, რაც ნაციონალ-სოციალისტები იმყოფებიან ხელისუფლების სათავეში. ამ ხნის განმავლობაში მემამულეებს მიეცა უდიდესი ფულადი დახმარება და მოწყალება, გლეხობის მასობრივი განადგურება და გაღატაკება კი გრძელდება. მიწის შესახებ უკვე ლაპარაკიც არ არის! სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა ძირითადად მსხვილი მონოპოლიების ხელშია, რომლებიც ჩალის ფასად ყიდულობენ პროდუქტებს გლეხობისაგან. ქალაქის ბაზრის ტევადობა თანდათან ვიწროვდება ხელფასის დაცემისა და მეუნელებელი უმუშევრობის გამო.

უკმაყოფილების ტალღა ფართოდ მოედო ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებს.

დასახასიათებელია შემდეგი ფაქტი. ამ რამდენიმე ხნის წინათ კენიგსბერგში გაიმართა „გლეხთა" კონფერენცია რომელიც უმთავრესად შედგებოდა სოფლად მომუშავე ფაშისტ პროპაგანდისტებისაგან. და ამ კონფერენციაზეც კი თვით იჩინა გლეხთა უკმაყოფილებამ. კონფერენციის წევრებმა არ მისცეს სიტყვა ოფიციალურ მომხსენებელს და გაუგზავნეს ჰიტლერს დეპეშა, რომელშიაც მოითხოვენ „დაპირებათა შესრულებას".

თუ ხელისუფლების სათავეში ჩადგომის პირველი თვეების მანძილზე ნაციონალ-სოციალისტები ცდილობდენ შეენელებინათ უკმაყოფილება იმით, რომ დაეკისრებინათ პასუხისმგებლობა ნაციონალური პარტიისათვის, რომლის მეთაურს — კაპიტალისტ და მემამულე ჰუგენბერგს —ეკავა სახალხო მეურნეობის მინისტრის და „კვების მინისტრის" (სოფლის მეურნეობის მინისტრის) თანამდებობა, ახლა მათ უკვე აიხადეს ნიღაბი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო მთლიანად ნაციონალ-სოციალისტების ხელშია, ხოლო მინისტრი, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი—დარრე გამოვიდა აშკარა ცინიკური განცხადებით.

„რეისკანცლერის სრული თანხმობით ვაცხადებ, რომ ხელს არ ვახლებ არავითარ მამულს. **რა გინდ და დიც არ უნდა ყოს იგი...** მე აგრეთვე არ ვახლებ ხელს არც ერთი დავალიანებულ მსხვილ მამულს. პირიქით, მე ვიდგები **კერძო საკუთრების სადარაჯოზე**".

აქ ლაპარაკია არა მარტო მემამულეთა კარ-მიდამოებზე, არამედ **ტრესტებსა, კონცერნებსა და უნივერსალურ მაღაზიებზე.** იმავე ყბადაღებულ „25 მუხლიან პროგრამაში" გათვალისწინებულია „იმ საწარმოების განსახლემწიფოება, რომლებიც დღემდის უკვე განსაზოგადებული არიან" (!). (მუხ. 13) და „უნივერსალური მაღაზიების მუნიციპალიზაცია" (მუხ 16).

ნაციონალ - სოციალისტები დგანან ხელისუფლების სათავეში. მემამულეები და უნივერს. მაღაზიების მფლობელნი უკარნახებენ პოლიტიკას თავის პარტიას, თავის აგენტურას.

ჰიტლერელებმა შექმნეს „სამეურნეო საბჭო, რომლებშიაც შედიან კრუპი, სიმენსი, ფეგლერი და სხვ. ისინი აშკარად იცავენ მეწარმეთა ინტერესებს.

13 ივლისს ნაციონალ - სოციალისტებმა მოაწერეს „ეკონომიურ ხელშეკრულებას" თათბირი, სადაც სახალხო მეურნეობის ახალი მინისტრი შმიდტი გამოვიდა მეწარმეთა წინაშე საანგარიშო მოხსენებით, ხოლო კრუპ ფონ-ბოლენმა „გულწრფელი" მადლობა გადაუხადა ნაციონალ-სოციალისტებს „გულმოდგინებისათვის".

ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა უარესდება. გერმანიის ქვანახშირის რაიონში — რურში გაუსაღებლად აწყვია 10 მილიონი ტონა ქვანახშირი. რეინ-ვესტფალიის მეტალურგიაც პროდუქცია კვლავ ეცემა.

1930 წლიდან დაწყებული ფაშისტები აძლიერებენ აგიტაციას მუშებს შორის, მაგრამ ეს უკანასკნელები მათ სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ. მუშათა კლასის ძირითადი ძალები მტრულად არიან განწყობილი ფაშიზმის მიმართ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატების ახალი გამცემლობის შედეგად, რომლებმაც გზა გაუკაფეს ფაშიზმს, ჰიტლერელებმა შესძლეს აშკარა ფაშისტური დიქტატურის დამყარება.

მუშათა კლასი, რომელიც წელში სწორდება ფაშიზმის მიერ მასზე მიტანილი იერიშის შემდეგ, ახლა აძლიერებს თავის ბრძოლას.

ნაციონალ-სოციალისტები განსაკუთრებით ცდილობდენ მიეშხროთ უმუშევრები, რომელთა მძლავრი გამოსვლა ძირს უთხრიდა გერმანიის კაპიტალიზმის მშენობას.

მაგრამ არც აქ გაუმართლდათ იმედი. უმუშევართა დიდი უმრავლესობა, გარდა ფაშისტურ „მოიერიშეთა რაზმებში" ჩაბმულ უმნიშვნელო ფენისა, მიყვებოდა და ახლაც მიყვება კომპარტიას.

ფაშისტები დაპირდენ მათ, რომ ხელისუფლების სათავეში ჩადგომის თანავე „აღმოფხვრიდენ უმუშევრობას". მაგრამ რა გამოვიდა?

თუ ტრაფარეტული ფაშისტური ფურცლები ლაღდებენ „უმუშევრობის შემცირების" შესახებ, მათივე სტატისტიკური სამმართველო აღიარებს, რომ გერმანიაში არის 2 მილიონი. „ჭირნახული უმუშევარი", ე. ი. ისეთი უმუშევრები, რომლებიც არსად არ არიან აყვანილი აღრიცხვაზე. ხოლო უმუშევართა ოფიციალურად ფალსიფიცირებული ციფრი შეადგენს 5 მილიონს (აღრიცხვაზე აყვანილნი). ამრიგად **ფაშისტური სტატისტიკის ცნობებითაც** კი გერმანიაში დღემდის არის 7 მილიონი უმუშევარი.

როცა ნაციონალ-სოციალისტები ლაპარაკობენ „უმუშევრობის შემცირების შესახებ", იმით მიუთითებენ შრომის ბანაკებზე, მაგრამ საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ „შრომის ბანაკებში" გაგზავნილია 500 ათასი კაცი, რომლებიც ღებულობენ **არა უმეტეს** ღრმისა, რაც საშუალოდ დაახარებს, სახით ეძლევიან უმუშევრებს. და რომლებიც იძულებულნი არიან შეასრულონ მძიმე სამუშაო და გაიარონ სამხედრო სწავლება.

ასე შეასრულეს საქმით ნაციონალ-სოციალისტებმა თავისი დაპირებანი.

გააფთრებული იერიშის მიტანა მუშათა კლასზე, პროლეტარიატის საარსებო დონის საგრძნობლად შემცირება, კოლხლეწურკულებათა ლიკვიდაცია, მეცხელურეთა გამდიდრება ღარიბ-საშუალო გლეხთა და 2½ მილიონ მოჯამაგირეთა ხარჯზე, სოციალური დაზღვევის მთელი სისტემის ლიკვიდაცია, უმუშევართა გასამზედროება—ასეთი უახლესი ამოცანები დაუსახა მონოპოლისტურმა კაპიტალმა თავის ფაშისტურ დიქტატურას.

ფაშიზმი — ეს არის მონოპოლისტური კაპიტალის იარაღი. ფაშიზმი აწარმოებს საომ-შავილაჭო ომს პროლეტარიატის წინააღმდეგ, ამზადებს ახალ იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტას.

მიზნად დაისახა რა კომპარტიის განადგურება და მუშათა კლასის აეანგარდის საესებით მოსპობა, ფაშიზმმა ვერ გაართვა თავი ამ ამოცანას, გმირული, არაჯალუსური მდგომარეობაზე გადასული კომპარტია—თავის პოსტზეა! იგი რაზმავს მასებს, აკავშირებს და ამზადებს ფაშისტური დიქტატურის დამხობას. („პრავდა").

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების

გორის, გურჯაანის, ჩოხატაურის, წალენჯიხის და ყარაიას რაიონებსა და ქ. ტფილისში

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. საქ. კომიტეტის პრეზიდიუმის და მუშებლეხინის საბჭოს კომისარიატის კოლეგიის 1933 წ. 23 აგვისტოს გაერთიანებული სხდომის დადგენილება

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საერთოდ არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობასთან ერთად, ქალაქ ტფილისის ზოგიერთი რაიონის გამოკლებით (ლენინის და სტალინის სახელობის), რაიონების მუშაობაში ადგილი აქვს შემდეგ დიდ დეფექტებს:

1. მთელი რიგი ადგილობრივი პარტორგანები, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ აფასებენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მნიშვნელობას.

2. ცალკე რაიონებში (ყარაიას, გორი) არ ყოფილა შემუშავებული სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პრაქტიკული ოპერატიული გეგმა, რის შედეგადაც მუშაობა ძირითადად თვითმიმდინარეობაში იყო დამყარებული.

3. რაიონებში (გორი, ჩოხატაური, ყარაიას და მცხეთის) აღრიცხული არ არის სკოლები, რომელთაც შეკეთება ესაჭიროება.

4. რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ყარაიას, გორი, ახალციხე, გურჯაანი, ჩოხატაური, წალენჯიხი და მცხეთა) დაუშვეს შეუწყნარებელი ჩამორჩენა სკოლების სახელმძღვანელოებით, წიგნებით, სასკოლო ინვენტარით და მოწყობილობით მომარაგების საქმეში. 10 აგვისტოსათვის ყარაიას და წალენჯიხის რაიონების მიერ სრულებითაც არ იყო გაცემული დაკვეთა წიგნებზე და სახელმძღვანელოებზე.

5. მუშაობა სკოლების შენობების შესაკეთებლად და სკოლების მოსაწყობად რაიონების უმრავლესობაში აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდად ჩამორჩებიან ყარაიას, მცხეთის და ახალციხის რაიონები.

6. პარტიისა და მთავრობის დადგენილება სკოლების შენობებიდან იმ ორგანიზაციების, დაწესებულებების და პირების გამოსახლების შესახებ, რომელთაც დამოკიდებულება არა აქვთ სკოლასთან, დღემდე არ არის შესრულებული, კერძოდ ტფილისში.

ადგილი აქვს ამ დადგენილების უხეშად დამახინჯების ფაქტებს თვით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრივ.

საგურამოს სოფლის საბჭოს თავმჯდომარე თვითნებურად შეახალდა სკოლის შენობაში, სამკითხველო გადაჰკეთა სამზარეულოდ.

ახალციხის კოლმეურნეობა ახალგაზრდობის სკოლის სამი ოთახი უქირავებს რაიპროფსაბჭოს.

7. სკოლების სათბობი მასალით მომარაგების საკითხი ძლიერ ჩამორჩენილია. გორის რაიონში 17 სოფლის საბჭოდან მხოლოდ 9 საბჭომ უზრუნველჰყო სკოლები სათბობი მასალით; ყარაიოს რაიონში ჯერაც არ დაუწყიათ „მუშაობა ამ მიმართულებით. ახეთივე მდგომარეობაა მცხეთის და წალენჯიხის რაიონებში; ლენინის რაიონში 17 საბჭოდან მხოლოდ 3-მა დაიწყო მუშაობა.

8. იმ ბავშვთა აღრიცხვა, რომელთაც უნდა გაიარონ სავალდებულო სწავლება, მეტ წილ რაიონებში აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ხოლო მთელ რიგ რაიონებში (ყარაია, გორი, მცხეთა და ლენინის რაიონი) სრულებით არ სწარმოებს.

9. 11 გამოკლებულ რაიონიდან განმარტებითი მუშაობა საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ ჩატარებულია მხოლოდ შემდეგ რაიონებში: ჩოხატაურში, გურჯაანში და ორგანიკაძის სახელობის რაიონში.

10. მასწავლებლების მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით აშკარად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური სასკოლო კომისიის პრეზიდიუმი და მუშებლეხინის სახალხო კომისარიატის კოლეგია ადგენენ:

წინადადება მიეცეს აღნიშნული რაიონების პარტიულ კომიტეტებს და რაიაღმასკომებს დაუყოვნებლივ გარდაჰქმნან მუშაობა ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებლად საქ. კ.პ. (ბ) ა.-ქ. სამხ. კომიტეტის 1933 წ. 15 აგვისტოს დადგენილებასთან შეფარდებით, კერძოდ მოაქცეონ განსაკუთრებული ყურადღება შემდეგ საკითხებს:

I. სკოლების რემონტი და მოწყობილობა

დაუყოვნებლივ შესდგეს სკოლების და სასკოლო ინვენტარის (სადაც ასეთი ჯერ კიდევ არ არის) რემონტის ოპერატიული გეგმა იმ ვარაუდით, რომ ეს მუშაობა დამთავრებული იქნეს სამხარეო კომიტეტის მიერ დანიშნულ ვადაში. პასუხისმგებლობა ამ მუშაობის შესრულებისათვის დაეკისროს რაიაღმასკომებს თავმჯდომარეებს.

II. სკოლების უზრუნველყოფა სათბობი მასალით

1) ვინაიდან სკოლების სათბობი მასალით უზრუნველყოფის მხრივ მუშაობა აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, წინადადება მიეცეს აღნიშნული რაიონების საკონტროლო კომისია - მუშაგლეხინის განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ დააყენონ ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის დადგენილების შესრულება მთელი სასკოლო ქსელის სათბობი მასალით უზრუნველყოფის შესახებ სასწავლო წლის დაწყებისათვის.

2) რაიაღმასკომებმა და რაიკომებმა ფარგლად ჩაბან ამ საქმეში სოფლის საბჭოები, სათანადო სკოლების ადმინისტრაცია და ხელისუფლების წარმომადგენლების მხრივ.

3. რაიონებმა, რომელთაც დღემდე არ აქვთ მიცემული დაკვეთები სახელმძღვანელოებზე და მოწყობილობაზე - დაუყოვნებლივ მისცენ ასეთები სათანადო ორგანიზაციებს.

4. სოციკულტბაგუფმა სისტემატიურად აღუწყოს თვალყური საქ. ცენტრალურ სასკონტროლო კომისია-მუშაგლეხინის წლის 1 აგვისტოს დადგენილების შესრულებას სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემის მხრივ.

IV. მასწავლებლების მატერიალურ-საქმოსაცხოვრებო უზრუნველყოფა

1) წინადადება მიეცეს საკონტროლო კომისია-მუშაგლეხინებს 5 დღის ვადაში გამოარკვიონ მასწავლებელთა ხელფასის დავალიანება ა.-წ. 1 აგვისტოსათვის, მათ შორის სასწრაფო ზომები ამ დავალიანების დასაფარავად, ხოლო დამნაშავენი ხელფასის გატუქმრების დაგვიანებაში მისცენ სასტიკ პასუხისგებაში, ამასთანავე მიაწოდონ (ყოველთვიურად) ცნობები საქ. ცენტრალურ-საკონტროლო კომისია-მუშაგლეხინს ამ დარგში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. ამასთან ერთად რაიასკონტროლო კომისია მუშაგლეხინებს უზრუნველჰყონ პარტიისა და მთავრობის დადგენილების ცხოვრებაში გატარება მასწავლებლების სურსათით და სარეწველო საქონლით მომარაგების შესახებ.

V. საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება

1. წინადადება მიეცეს განათლების განყოფილებათა ყველა გამგეებს ერთი დეკადის ვადაში უზრუნველჰყონ იმ ბავშვთა აღრიცხვა, რომელიც ჩაბმულ უნდა იქნან ზაციის საქმეში.

2. ამასთან ერთად ფართოდ გაშალონ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობას შორის საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ამოცანებზე, განსაკუთრებით ჩამორჩენილ და ნაცემცინარებობათა რაიონებში.

VI. სკოლის შენობების განთავისუფლება კერძო პირებისა და დაწესებულებებისაგან

1. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებს, განსაკუთრებით კი ქ. ტფილისის რაიაღმასკომებს, უზრუნველყონ სკოლის შენობების განთავისუფლება კერძო პირებისა და დაწესებულებებისაგან 1 სექტემბრისათვის.

2. საკონტროლო კომისია-მუშაგლეხინებმა ამყვანონ აღრიცხვაზე აღნიშნული შენობები და 5 სექტემბრისათვის მიაწოდონ ინფორმაცია ცენტრ. საკონტროლო კომისია-მუშაგლეხინს ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

ვინაიდან ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში აღნიშნული დეფექტები ძირითადად დამახასიათებელია დანარჩენი რაიონების მუშაობისათვისაც, წინადადება მიეცეს აღგილობრივ რაიაკონტროლო კომისია-მუშაგლეხინებს ეს დადგენილება საფუძვლად დაუდონ თავის პრაქტიკულ მუშაობას სახ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის მიერ 15 აგვისტოს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ მიღებული დადგენილების რეალიზაციის საქმეში.

ჭიათურა

მარგანეცის ამოღება და გარეცხვა (ტონოგით)

23 აგვისტოს 1933 წ.

	ამოღება			გარეცხვა		
	დავალება	შესრულება	%	დავალება	შესრულება	%
სულ	3,789	3867	102,0	1.990	1765	88.6
მათ შორის:						
ქარხ.-მაღ. № 1	98	84	85,7	49	40	81.6
„ „ № 3	180	184	102,2	99	79	79.8
„ „ № 4	344	419	121,8	131	109	83.8
„ „ № 17	244	284	116,3	115	116	100.8
„ „ № 11	688	689	100,1	589	316	53.6
„ „ № 5	298	260	87,2	164	174	106.0
„ „ № 25	622	701	112,7	324	407	125.6
„ „ № 29-30	631	637	100.9	303	311	102.6
„ „ № 33	242	217	89,6	147	147	100.0
მაღარო № 36	442	392	88,6	—	—	—
ქარხანა № 27	—	—	—	69	66	95.6

ქუთაისი უნდა გახდეს სუფთა, სანიმუშო ქალაქად

(ბაზ. „კომუნისტი"-ს და „მუშა და კოლმეურნე"-ს დამკვრელ მუშკორთა რეიდი)

ქუთაისში სისუფთავის დაცვას ადგილობრივი ორგანიზაციები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. ამის ერთი დამხასიათებელი ფაქტია ისიც, რომ ქალაქის დასუფთავების ერთთვიური იენვისში ჩატარად კანცელარიულად, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობის გარეშე. ეს აღნიშნა ა.-ზ. 19 აგვისტოს გაზ. „კომუნისტი"-ს ქუთაისის განყოფილების ინიციატივით მოწყობილმა რეიდმა ქალაქის დასუფთავების საკითხებზე.

ცხაკაიას, ტურაკის, ჯღუღაშვილის, ნიკოლაძის, ჯაფარიძის, წერეთლის და ინტერნაციონალის ქუჩებში—აი, მთავარი ობიექტები ქალაქის შიგნით და გარეთ, რომელთაც მომსახურებას „უწევს" ქალაქის დასუფთავების ტრესტი, მაგრამ ეს „მომსახურება" იმდენად უეარგისია, რომ სათანადო ორგანოების წინაშე უნდა დაისვას საკითხი თუთ ტრესტის ხელმძღვანელობის შესახებ.

ამ ქუჩებზე მოგროვილი ნაგავი თვეობით აუღებელი რჩება. ცხაკაიას ქუჩაზე მდებარე სახლი № 34 და 36 მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ მათი შენობის წინ მოგროვილი ნაგავი დასუფთავების ტრესტს ერთი წელია არ გაუზიდია.

შუშკოპის № 18 მაღაზიის (ლიბკნეხტის ქ.) გამგემ იმის ნაცვლად, რომ მონაწილეობა მიეღო ქალაქის დასუფთავების ერთთვიურში, ერთი კასრი დამპალი კიტრი გადაყარა ქუჩაში. უსუფთაობის მხრივ რეკორდია დამყარებული ზდანოვიჩის ტუჩაზე, აქაც

ზესტაფონის ფერო-გიგანტი

15 ოქტომბერს მოგვცემს პირველ ფერო-შენადნობს

საქ. კ. პ. (ბ) ცეკა—ლ. ბერიას

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მტკიცე კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობით ჩვენ ფეროშენის დამკვრელებმა და ინჟენერ-ტექნიკოსებმა მოვიპოვეთ ბრწყინვალე გამარჯვება. უკვე დამთავრებულია ფერო-გიგანტის პირველი რიგის სამი ღუმელის მშენებლობა. ქარხნის ბუნკერები მზად არის ასამუშავებლად. ქარხნის შინაგზებზე 22 აგვისტოს გაიარა პირველმა მატარებელმა. დახურული ქვესადგური მზადაა ელექტროდენის მისაღებად.

ფეროს დამკვრიოთა კონფერენცია სიტყვას გაძლევს შენ, ამხ. ლავრენტი, რომ რაიონულ და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების სწორი ხელმძღვანელობით ფეროს დამკვრელები კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას და დარჩენილ დროს მაქსიმალურად გამოიყენებენ იმისათვის, რომ 15 ოქტომბერს მისცენ სოციალისტურ ქვეყანას პირველი ფეროშენადნობი. კონფერენცია სიტყვას იძლევა, რომ ფეროს დამკვრელები ინჟენერ - ტექნიკურ ძალებთან ერთად ბოლშევიკურად იბრძოლებენ უკვე დამთავრებულ აგრეგატების ასათვისებლად.

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და მის ხელმძღვანელს, უდიდეს ლენინელს ამხ. სტალინს!

გაუმარჯოს ა-კავკასიის სამხარეო კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას!

ფეროს დამკვრელთა კონფერენციის პრეზიდიუმი.

ნახშირით მომუშავე ავტომოზილი ტფილისში

23 ივლისს, საღამოს 9 საათზე ლენინგრად-მტკვარბელი ამხ. მაკოვეცკი. ექსპედიციაში მონაწილეობენ პროფ. ნაუმოვის კონსულტანტები, ინჟენერები და ამხ. შერემეტევი და მიხაილოვი, ლენინგრადის ავტომობილის ეკონომიური უპირატესობა ბენზინთან შედარებით.

გადარბენას ხელმძღვანელობდა კომანდორი